# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 1 მარტი 2006 №45 (2667) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტოპმიოლერმა მიხვდა, რომ საქმე ძალიან ქა-რთულადაა ხმას აუწია

მალტის ტურნირზე მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებთან ნაწვევი 1:5 ჩვენი ეროვნული ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერისთვის სადებიუტო იყო და შევიტყვეთ, რომ აღშფოთებული ტოპი გადამჭრელი ზომების მიღებას აპირებს.

ნამატჩევს გასახდელში ტოპმიოლერს რამდენიმე ფეხბურთელისთვის უთქვამს, თქვენ რა გგონიათ, ამ მატჩის შემდეგ კიდევ მოგეცემათ ეროვნულ ნაკრებში თამაშის შანსი?!

ეს სიტყვები იმათ გასაგონად ითქვა, ვილასგან აღარ ყბადაღებული და კბილგაკრული უცნობილესი სარეკომენდაციო სიით რომ მოხვდნენ მალტაზე.

ტოპმიოლერი ზოგიერთ იმ ფეხბურთელსაც გადასწვდა, ტურნირზე რომ არ ჩავიდნენ. მათ ეროვნულ ნაკრებში თამაშის დიდი შანსი არ ჰქონიათ და მიკვირს, ასე იოლად რომ თქვეს უარი ვალეტაში ჩამოსვლაზეო — უთქვამს ჰერ კლაუსს.



## მწვრთნელგაბუტულმა ნაკრებმაც იგრძნო: მოხდა რაღაც ძალიან ცუდი

# ასე თამაში არ შეიძლება!



გიორგი ნოზაძე ვალეტადან



**კლაუს ტოპმიოლერი მოლდოვასთან შერცხვენილ საქართველოს ნაკრებს გაებუტა**

„ასე თამაში არ შეიძლება!" — ეს კლაუს ტოპმიოლერის პირველი სიტყვებია, მოლდოვასთან თამაშის დასრულების შემდეგ რომ უთხრა ფეხბურთელებს. ასე თამაში რომ ნამდვილად არ შეიძლება, ყველამ კარგად იცის — მწვრთნელმაც, ფეხბურთელმაც, დელეგაციის თითოეულმა წევრმაც... უბედურება ისაა, რომ ჯერ ვერ გავარკვიეთ, როგორი თამაშია საჭირო. ამ შემთხვევაში „თამაშში" მოედანზე შესრულებული საფეხბურთო ელემენტები როდი იგულისხმება. ჩვენი გუნდის პრობლემები არა მოედანზე ან გასახდელშია, გაცილებით ადრე იწყება — იმ ფურცლით, რომელზეც მორიგი თამაშის წინ ნაკრებში გამოძახებულთა გვარები იწერება.

ყოველგვარი ირონიის გარეშე შეუძლია ვინმეს, დაზუსტებით თქვას, რომელი გუნდითაა წარდგენილი საქართველო მალტაზე? მეტისმეტად დიდი ფანტაზიის უნარი უნდა გქონდეს, რომ გუნდს, რომელიც მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებთან უშანსოდ აგებს და საგოლე მომენტსაც ვერ ქმნის, საქართველოს ეროვნული ნაკრები უწოდო. ამით მოლდოველებს სულაც არ ვაკნინებ, მართლა ჩინებული გუნდი ჰყავთ და ტურნირის გამარჯვებულის ტიტულიც დამსახურებულად მოიპოვეს. ჩვენ კი...

სამგლოვიარო განწყობა იყო დღეს საქართველოს ნაკრების დილის ვარჯიშზე. ფეხბურთელები მოღუშულები შედიოდნენ მოედანზე. რამდენიმემ მკითხა, ინტერნეტში ქართული გაზეთების დღევანდელი ნომრების ნახვას თუ შევძლებთო. ყველა ხვდება, რომ რაღაც ძალიან ცუდი მოხდა — გაცილებით ცუდი, ვიდრე ერთი, თუნდაც კატასტროფული ანგარიშით მარცხია.

ტოპი? მთავარი მწვრთნელი ვარჯიშის მსვლელობაში, ფაქტობრივად, არც ჩარეულა. შორიახლოდან ადევნებდა თვალს წვრთნას და რამდენიმე მოკლე ფრაზით შემოიფარგლა.

რალფ მინგემ სია ამოიკითხა: კობი, ცქიტო, ხიზან, ასკა, მატე, მუმუ, ჩელო, მარცვალ, მახარ, ჟაბა, მირზა — გვერდით გაიხმო გუშინწინდელი მატჩის მონაწილეები და კობა ჟორჟიკაშვილთან ვაუშვა აღდგენითი ვარჯიშისთვის; გოგი ფიფია, ბექა და რევაზ გოცირიძეები, გულვერდ თომაშვილი, გიორგი ხიდეშელი, ირაკლი ჩირიკაშვილი და დავით მჭედლიშვილი კი თავისთან დაიტოვა. იქვე იყვნენ გიორგი ფოფხაძე და გიორგი განუგრავა, რომლებმაც მიკროტრავმები მოიშუშეს და სრული დატვირთვით ივარჯიშეს.

დაახლოებით საათნახევარი მინგე ყველანაირად ცდილობდა, ვარჯიშში ხალისიანი განწყობა შეეტანა და საამისოდ ჯერ ერთგვარი ლელო-ბურთი ათამაშა, მერე კი დაჭერობანა. როცა ფეხბურთელები „გაახურა", შემდეგლა დაიწყო წვრთნის ძირითადი ნაწილი.

ჟორჟიკაშვილი კი „თავის" ფეხბურთელებთან ერთად ძუნძულით შემოიფარგლა. ნახევარ საათში ეს ჯგუფი ავტობუსით სასტუმროში გაემგზავრა, მინგემ კი „თავისებს" მეკარეები, ზვიად სტურუა და რევაზ თევდორაძე დაამატა...

ვარჯიში მთავრდებოდა, როცა ნაკრების მენეჯერ თამაზ ბოკერიას რუბინელმა ნუკრი რევიშვილმა დაურეკა — თვითმფრინავის ბილეთს არ მაძლევენ რუსებიო. მალტის ვიზა მთელი დელეგაციისთვის ერთიანად გაკეთდა და მაშინ რუსებმა რევიშვილს უთხრეს, ამგვარი ვიზით ბილეთს ვერ გავცემთო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ იმავე დღეს მოუგვარა რევიშვილს ვიზის პრობლემა, მაგრამ ბილეთის აღებას მაინც დიდი დავიდარაბა დასჭირდა. ალბათ ნუკრი მოასწრებს ჩამოსვლას და მალტელებთან თამაშის შანსიც მიეცემა. რაც შეეხებათ არჩამოსულებს — კონკრეტული მიზეზი ვერავინ გვითხრა, „ტრავმები და სხვადასხვა მიზეზები" — ასეთია პასუხი. „სხვადასხვაში" კი სავიზო პრობლემებიც შედის, რომელიც ჩვენს უკრაინელ ლეგიონერებს, ილია კანდელაკს და კახა მაკავარიძეს შეექმნათ.

სალამოს ნაკრებს არ უვარჯიშია — ტოპმიოლერმა გუნდს მოლდოვასთან მატჩის ფირი ანახა.

მოლდოვასთან სამარცხვინო მატჩის შემდეგ კი ტოპის კომენტარი არ გაუკეთებია და გუშინ ვთხოვეთ აზრის გამოთქმა...

— სამწუხაროა, როცა რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი ერთბაშად აკლდება გუნდს. ზოგი ტრავმირებულია, ზოგსაც სავიზო პრობლემები აქვს. ნაკრების რეალურ სახესა და ძალაზე ახლა საუბარი ძნელია, ეს მაშინ იქნება შესაძლო, როცა შეკრებაზე საუკეთესონი ჩამოვლენ.

...დიდი სამუშაოები დაგვჭირდება, რათა ძლიერი გუნდი ჩამოვაყალიბოთ. გუშინდელმა თამაშმა ბევრი სუსტი რგოლი დაგვანახა. დღეს მალტაზე ახალგაზრდული ნაკრების ექვსი ფეხბურთელი გვყავს, რამდენიმეც 19-წლამდელთა ნაკრებიდანაა. პირველი შეკრება გვაქვს და ისინი წამოვიყვანე, ვინც ამ ეტაპზე თვალში მოგვხვდა, დაკვირვება კი გრძელდება.

...მომავალში მუდმივი კონტაქტი მექნება ჩვენი ლეგიონერების მწვრთნელებთან. მინდა ვთხოვო ჩვენს ფეხბურთელებს — როცა თავისუფალი დრო ექნებათ, ჩამოვიდნენ და ცოტ-ცოტა წავიმუშაოთ. მათ მწვრთნელებს კი დახმარებას ვთხოვ, რომ ობიექტური ინფორმაცია მომაწოდონ ფეხბურთელთა ფორმის შესახებ. ხიზანა, კობი, ასათიანი... ესენი შეუცვლელი არიან, მაგრამ გვინდა, რაც შეიძლება მალე წამოიწიონ ახალგაზრდებიც.

# თბილისის დინამომ სამბისტები დაიმატა



ამბროზიო და ვიეირა

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამომ" ბრაზილიიდან განთავისუფლების ფურცლები მიიღო და ორი ბრაზილიელი, ჟილვან გომეშ ვიეირა და ჟოსიმარ ლუიშ დომინგუშ ამბროზიო საჩემპიონატო განაცხადში შეიყვანა. ასე რომ, დიდი შანსია, მეორე წრის მეორე ტურში, 4 მარტს „თბილისთან" მატჩში მათი ქართული დებიუტი შედგეს. ყოველ შემთხვევაში, დინამოელთა რუს მწვრთნელ ანდრეი ჩერნიშოვს სრული უფლება აქვს, ისინი ათამაშოს.

კლუბმა ბრაზილიელებს მუდმივნომრიანი მაისურებიც გადასცა — ვიეირა 25 ნომრით ითამაშებს, ხოლო ამბროზიოს 28 ერგო.

აქვე გეტყვით, რომ განაცხადში შეიყვანეს გუნდის ყოფილი კაპიტანი, ვლადიკავკაზის „ალანიადან" წამოსული გიორგი შაშიაშვილიც, რომელიც „დინამოში" სეზონის ბოლომდე იჯარით ითამაშებს — მას 2-ნომრიანი მაისურა მისცეს.

შეგახსენებთ: „დინამო" სადღეისოდ მესამე ადგილზეა სატურნირო ცხრილში.

**ᲙᲐᲮᲐ ᲖᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ**

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები

ოსნაბრიუკი 2:2 ვუპერტალი
ქემნიცი — მიუნსტერი გადაიდო
ერფურტი — ვერდერი (მ) გადაიდო
ლიუბეკი — ზანკტ პაული გადაიდო
ვატენშაიდი — ობერჰაუზენი გადაიდო

## ინგლისი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩები

ბორნმუთი 1:1 ბარნსლი
დონკასტერი 0:0 ბრედფორდი
პორტ ვეილი 1:2 სკანთორპი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩები

ლეიტონი 0:0 ბარნეტი
როჩდეილი 1:1 ბერი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები

გრეივსენდი 1:1 ძროული
ძონვი — უოქინგი გადაიდო

## შოტლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

ქუინი 0:0 დანდი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები

ალოა 2:1 პარტიკი
სტირლინგი 0:5 გრეტნა
ფორფარი — რეითი გადაიდო

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები

სტენჰაუზმური 1:0 ალბიონი
არბროთი : ქუინზ პარკი გადაიდო
ისტ სტირლინგი : კოუდენბითი გადაიდო

## ამხანაგური მატჩები

გაიანა 2:1 ანტიგუა და ბარბუდა
იაპონია 2:2 ბოსნია
აზერბაიჯანი 0:0 უკრაინა
კვიპროსი 0:1 სლოვენია
ფინეთი 0:0დ.დ.(პენ. 1:3) ყაზახეთი
რუმინეთი 2:0 სომხეთი
საბერძნეთი 1:0 ბელარუსი
ისლანდია 0:2 ტრინიდადი და ტობაგო

## ახალგაზრდულები

ისრაელი 0:1 უკრაინა
ესპანეთი 0:1 პოლონეთი
უელსი 0:1 ჩრდ. ირლანდია
ტუნისი 0:0 სერბეთი
პორტუგალია 0:1 იტალია
საფრანგეთი 2:1 სლოვაკეთი
გერმანია 1:2 ლატვია
შოტლანდია 4:0 ისლანდია
ირლანდია 1:0 შვედეთი
ინგლისი 3:1 ნორვეგია



# ლაშა ჯაკობია: მალტაზე სიცხის გამო ვერ წავედი

## საქართველოში არავისგან არ ვგრძნობდი ყურადღებას და დახმარების სურვილს

მალტაზე, კოკა კოლა&მულტიპლასის საერთაშორისო ტურნირისთვის საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 35 ფეხბურთელი იყო გამოძახებული, თუმც რამდენიმე ლეგიონერი კუნძულზე მიზეზთა გამო ვერ ჩავიდა. მათგან ერთ-ერთი ლაშა ჯაკობიაა, ხარკოვის „მეტალისტის“ 25 წლის ფორვარდი, ვისაც გუშინ თურქეთში დავურეკეთ და პირველ რიგში მალტაზე ვერჩასვლის მიზეზზე დავეკითხეთ...

— შეკრებაზე ანთალიაში ვართ და მალტაზე გასამგზავრებლად სტამბოლში ჩაველი, მაგრამ იქ შეუძლოდ გავხდი, გავცივდი და სიცხემ ამიწია, ღამე აეროპორტში გავათენე და გაციება გამირთულდა, მალტაზე გამგზავრებას აზრი აღარ ჰქონდა. ამ ყველაფრის შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ვაცნობე, პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცსაც ველაპარაკე და ისიც გაგებით მოეკიდა ამ ამბავს.

— ახლა როგორ გრძნობ თავს?

— ისევ სიცხიანი ვარ, დღეს ანთალიურ შეკრებაზე ხარკოვის „მეტალისტს“ ბოლო მატჩი აქვს, მაგრამ მე ვერ ვითამაშებ.

— ანთალიურ შეკრებაზე გოგიტა გოგუას ნალჩიკის „სპარტაკთან“ 0:1 წააგეთ...

— ჩვენ მაღალი დატვირთვების ფონზე ვითამაშეთ და ამიტომ დავმარცხდით. ისე კი, ანთალიურ შეკრებაზე რამდენიმე მატჩი ჩავატარეთ და ხუთი გოლი გავიტანე.

— უკრაინულ პრესაში დაიწერა, ხარკოვის „მეტალისტმა“ ანთალიურ შეკრებაზე სერიოზული შენაძენი გააზერხაო...

— ბრაზილიელი ნახევარმცველი მარკოს პაულო ალვეში დავიმატეთ, მას ბრაზილიის ოლიმპიურ და ეროვნულ ნაკრებებში უთამაშია, სერია A-ს „უდინეზეშიც“ მოუსინჯავს ძალა. თუმცა ამ დროისთვის საუკეთესო ფორმაში არ არის, დატვირთვებთან შეგუებაც კი უჭირს.

— უკრაინის ჩემპიონატში ბოლო ხანს საქმეები კარგად მიგდის, გოლები გაგაქვს, თუმც მანამდე იყო პერიოდი, როცა თითქმის არავის სჯეროდა, რომ ლაშა ჯაკობია კიდევ შეძლებდა მაღალ დონეზე თამაშს — მაშინ, როცა ბელგიურ „აალსტში“ თამაშის შემდეგ საქართველოში დაბრუნდი...

— თბილისის „დინამოში“ 2003 წელს რომ მივედი, ოთხი ოპერაცია მქონდა გაკეთებული, შემდეგ „თბილისში“ გადავედი, მაგრამ იქაც ვერ წამივიდა კარგად თამაში — საქართველოში არავისგან არ ვგრძნობდი ყურადღებას და დახმარების სურვილს. შემდეგ ბერძნულ „იანინაში“ აღმოვჩნდი და იქ გატარებული დრო ჩემთვის ძალიან დიდი გამოცდა იყო, რომელსაც გავუძელი და რომლის შემდეგაც ნელ-ნელა ვუმატებდი თამაშს.

— საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი ალენ ჟირესი კი სისტემატურად გიწვევდა და ზოგისთვის ეს მითქმა-მოთქმის საბაბი იყო...

— ალბათ მხოლოდ ბოლმიანი ადამიანებისთვის. თავდაპირველად ჟირესმა, როგორც ნაკრების კანდიდატი, ისე გამომიძახა, მერე კი სულ მიწვევდა ნაკრებში, თუმცა თამაშის საშუალება იშვიათად მეძლეოდა. ჟირესთან ჩვეულებრივი, ნორმალური ურთიერთობა მქონდა და მას არანაირი კომერციული ინტერესი არ ამოძრავებდა, როცა ნაკრებში მიძახებდა. მისმა ნდობამ კი ძალა შემმატა და უკრაინის ჩემპიონატშიც ავთამაშდი. მერწმუნეთ, უკრაინის ჩემპიონატი საკმაოდ კარგი დონისაა.

— ხარკოვის „მეტალისტში“ კიდევ რამდენ ხანს აპირებ დარჩენას?

— მქონდა მიწვევები რუსეთის და ევროპის რამდენიმე კლუბიდან, მაგრამ „მეტალისტს“ კონტრაქტით კიდევ ათი თვე ვეკუთვნი და ხელშეკრულების თანახმად, კლუბის ნება იყო, გამასხვისებდა თუ არა. კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ კი, შესაძლოა, „მეტალისტიდან“ წავიდე.

**დავით თავართქილაძე**

# იაშვილი კონკურსზე წარადგინეს

## ნაკრებში 22 მარტისთვის ფიქნები

*გუშინწინ ალექსანდრე იაშვილისა და ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაიბურგმა“ მეორე ბუნდესლიგის 23-ე ტურში შინ „მიუნხენს“ 2:1 მოუგო და მესამე ადგილზე აინაცვლა.*

*ხიზანეიშვილს „მიუნხენთან“ არ უთამაშია, ხოლო იაშვილმა ბავარიელებს ორი გოლი გაუტანა, თუმც ასეთი ყოჩაღობის შემდეგ ეროვნულ ნაკრებს მალტის ტურნირზე ვერ ჩაკითხავს...*



ალექსანდრე იაშვილის (№9) პირველი გოლი „მიუნხენის“ კარში

„გადატვირთული კალენდრის გამო მალტაზე არ მივდივარ, ამის თაობაზე კლაუს ტოპმიოლერს უკვე ვესაუბრე და მანაც გამიგო. 5 მარტს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველის სტუმრად „უნტერჰახინგთან“. უკვე სამეულში ვართ და ახლა ყოველი მატჩი გადამწყვეტია — გვითხრა იაშვილმა და მერე ისიც ვკითხეთ, თუ როგორი გოლები გაუტანა მიუნხენელებს — პირველი გოლისას გადმოვარდნილი ბურთი ახლოდან შევაგდე, მეორე გოლი კი ძალიან ლამაზი გამოდგა — გვერდული მაკრატელა დავარტყი, ბურთი ჯერ ძელს მოხვდა და მერე გავიდა კარში, ეს გოლი თვის საუკეთესო გოლის კონკურსზე წარადგინეს“.

და რასა იქმს ხიზანეიშვილი, რომელმაც შარშან მუხლის ჯვარედინი იოგების ოპერაცია გაიკეთა?

„ხიზანეიშვილმა ახლახან „ფრაიბურგის“ მეორე გუნდში ითამაშა სრულად და შესაძლოა, „უნტერჰახინგთანაც“ ითამაშოს, რადგან ჩვენი ერთ-ერთი მცველი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს ამ მატჩს. ხიზანეიშვილს რამდენიმე თამაში სჭირდება, რათა ფორმა სრულად აღიდგინოს და სანაკრებოდ მზად იყოს. სწორედ ამის გამო ვერ მიდის მალტაზე ოთარიც“ — გვიპასუხა ალექსანდრე იაშვილმა.

მოკლედ, ბუნდესლიგაში დასაბრუნებლად მებრძოლ ფრაიბურგელებს ნაკრებისთვის ჯერ არ სცალიათ. იაშვილმა გვითხრა, რომ ალბანეთთან 22 მარტის ამხანაგური მატჩისთვის აუცილებლად ჩამოვა ნაკრებში, მას ტოპმიოლერთან ამის შესახებაც უსაუბრია.

მანამდე კი „უნტერჰახინგია“, რომელსაც მიმდინარე სეზონში შინ სექტემბრის შემდეგ არ წაუგია.

**დავით თავართქილაძე**

# გერმანელის ქართული ცოტა-ცოტა

## ჰერბერტ ცანკერი: ჩვენ ერთი გუნდი ვართ



ახლახან საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების გერმანელმა თავკაცმა ჰერბერტ ცანკერმა დასავლეთ საქართველო მოიარა, რამდენიმე ტესტ-მატჩს დაესწრო და ნაკრების კანდიდატებს თვალი შეავლო. ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს, რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ჰერ ჰერბერტი თბილისში და საერთოდ, რას ფიქრობს იგი მომავალ ევროშესარჩევზე...

**— ახლახან დასავლეთ საქართველო მოიარეთ და რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდით?**

— პირველადი შთაბეჭდილება ძალიან კარგია. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იმერეთის, გურიის, აჭარის და სამეგრელოს ფეხბურთის რეგიონულ ფედერაციებს. ისინი ძალიან დამეხმარნენ. ერთიორჯერ კიდევ ჩავალ ამ რეგიონებში, დავაკვირდები ფეხბურთელებს, შევარჩევ მათგან საუკეთესოებს და მოვიწვევ თბილისში შეკრებაზე.

**— რამდენად სრულ ინფორმაციას ფლობთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეტოქეებზე?**

— ინფორმაციების შეკრება და დაკვირვება ახლა მიმდინარეობს. გერმანიაში მყავს რამდენიმე ნაცნობი, რომლებიც იქაურ ამბებს მაწვდიან. გარკვეული ხერხებით რუსეთის ნაკრებზეც ვიღებ ცნობებს. მაკედონიაზე კი ჯერჯერობით არაფერი ვიცი. მაგრამ გარწმუნებთ, ოქტომბრამდე ყველაფერი მეცოდინება და წარმატებითაც ვითამაშებთ. ამის მჯერა.

**— უმაღლესი ლიგის თამაშებზე ხშირად გხედავთ, მაგრამ იქ 17-წლამდელთა ნაკრების კანდიდატები თითქმის არ თამაშობენ...**

— მართალია, თამაშებს ხშირად ვესწრები. ჯერ ერთი იმიტომ ვაკეთებ ამას, რომ გავარკვიო, რა უჭირთ და რა ულხინთ ქართველ ფეხბურთელებს; მეორეც იმიტომ, რომ ამით ვეხმარები რალფ მინგეს და ჰაინც ტოპმიოლერს ინფორმაციის შეგროვებაში. ჩვენ სამივენი კი, რა თქმა უნდა, კლაუსს ვეხმარებით — ჩვენ ხომ ერთი გუნდი ვართ.

**— რა არის ქართველი ჭაბუკების ყველაზე დიდი პრობლემა?**

— ყველა ქართველ ფეხბურთელს ერთიდაიგივე პრობლემა აქვს — უჭირთ ტაქტიკურად გამართული თამაში. ამას ემატება თავით არც თუ ხეირიანი თამაშიც, ხოლო რაც შეეხება ტექნიკას, საკმაოდ კარგია.

**— ვიცით, რომ ქართულ ენას სწავლობთ და როგორ მიდის ამ მხრივ საქმე?**

— ძალიან კარგად. დღითიდღე უფრო და უფრო იზრდება ჩემი სიტყვების მარაგი. ახლა ქართულად ლაპარაკი შემიძლია: ცოტა-ცოტა ან ასე და ისე...

**ქახა შალამბერიძე**
**ნინო სილაგაძე**

# დასავლეთში მსაჯები და ბავშვები შეამოწმეს

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე ამირან კაჭახიძემ ახალგაზრდა მსაჯები შეამოწმა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, სამეგრელოს, იმერეთის და აჭარის რეგიონებში. მსაჯებს ტესტები ჩაუტარდათ და ბავშვთა ამხანაგურ მატჩშიც გამოიცადნენ.

კაჭახიძესთან ერთად დასავლეთში ფედერაციის ბავშვთა ფეხბურთის განვითარების მენეჯერი ავთანდილ შალამბერიძე და 17-წლამდელთა ნაკრების გერმანელი თავკაცი ჰერბერტ ცანკერიც გახლდათ.



ბაჩო კორინთელის ფოტო

# 50



**ბედნიერია ის, ვინც ნაღდი ფეხბურთი ცოცხლად ნახა, ვინც ისევ ტკბება „ოქროს დინამოს" თამაშებით — დავით ყიფიანის ელეგანტურობით და ვირტუოზული პასებით, ვლადიმერ გუცაევის ელვაგარღვევებით, ვიტალი დარასელიას ფუტკარივით ბზრიალით, ალექსანდრე ჩივაძის აკადემიურობით, თამაზ კოსტავას ფლანგური ნავარდით...**

**„ოქროს დინამოს" 2 ნომერი თამაზ კოსტავა 50 წლისა გახდა, მაგრამ თავად ხუმრობს, 12-ნახევარი წლის ვარ, ჯერ სკოლის მოსწავლედ ვითვლებიო — დიახ, კოსტავა 29 თებერვალსაა დაბადებული...**

# რამდენი წლისაა 50 წლის თამაზ კოსტავა?

— ჩემი ფეხბურთში მოსვლა უცნაურად მოხდა: კალათბურთზე დავდიოდი და ერთხელაც ქუთაისში სკოლებს შორის ფეხბურთში პირველობა ტარდებოდა. ჩვენს სკოლას ხალხი აკლდა, მოვიდნენ ბადრი ფარულავა და თენგიზ ხელაძე და მითხრეს, უნდა ითამაშოო. უარი ვერ ვუთხარი, ვითამაშე თავდამსხმელად და 7 გოლი გავიტანე. იმ წელს სკოლების პირველობაზე 38 თუ 40 გოლი შევაგდე, შემდეგ კი გაკეთდა ქუთაისის ნაკრები, რომელსაც რესპუბლიკის სპარტაკიადაზე უნდა ეთამაშა. ჩვენი მწვრთნელი ვახტანგ ერქომაიშვილი იყო, ამ გუნდში თამაშობდნენ რამაზ შენგელია, ზაურ სვანაძე, რევაზ ბურკაძე, გოგი გაბიჩვაძე, იური კვერნაძე... ჩემპიონები გავხდით. ჩვენი თამაში შეუმჩნეველი არ დარჩენია კარლო ხურციძეს და „ტორპედოს" ახალგაზრდულ გუნდში წაგვიყვანა. მერე იყო „ტორპედოს" დუბლები, ძირითად გუნდში კი მაშინ კავაზაშვილი, ლინიოვი, სილაგაძე თამაშობდნენ. მწვრთნელი ბლინკოვი გახლდათ, რომელიც გიგა ნორაკიძემ შეცვალა და შეიქმნა სამწლიანი გეგმა, რომელშიც ახალგაზრდებზე უნდა გაკეთებულიყო აქცენტი. ამ დროს 17 წლის ვიყავი და მთავარ „ტორპედოში" ჩემი დებიუტიც უცნაურ სიტუაციაში შედგა: ფეხბურთელმა მურად ქუთათელაძემ თავისი მომავალი მეუღლე მოიტაცა, ამ საქმეში კი 7 მოთამაშე ეხმარებოდა. ის გოგო გავლენიანი ოჯახის შვილი აღმოჩნდა და ამ ბიჭებს დასაჭერად ჰქონდათ საქმე, გუნდში ველარ ჩნდებოდნენ და ნორაკიძე იძულებული გახდა, ახალგაზრდები ეთამაშებინა. ამ დროს „ტორპედოში" თამაშობდნენ ხერხაძე, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ფესტვენიძე...

**— თუმცა „ტორპედოში" დიდხანს არ გაჩერებულხართ. თქვენ, სულაქველიძე და შენგელია მალევე თბილისის „დინამოში" გადახვედით...**

— 1975 წლის მიწურულს ქუთაისში სერგო კუტივაძე ჩამოვიდა და გვითხრა, თუ „დინამოში" გადასვლის სურვილი გაქვთ, ნოდარ ახალკაცი გელითო. „დინამოში" ისეთი ფეხბურთელები იყვნენ, ვიფიქრეთ, ტყუილად სათადარიგოებში უნდა ვიყოთო და ერთი წელი კიდევ დავრჩით ქუთაისში. აი, მერე კი თხოვნას მთავრობის მითითებაც დაერთო და წინააღმდეგობა აღარ გაგვიწევია.

**— ბავშვობაში თავდამსხმელი იყავით და მარჯვენა მცველის პოზიცია ვინ შეგირჩიათ?**

— 1977 წლის დასაწყისშივე ახალკაცმა მარცხენა მცველად დამაყენა, მთელი პირველი წრე ვიწვალე, ვატყობდი, რომ მარჯვნივ გაცილებით უკეთესად შემეძლო თამაში. ახალკაცმა მეორე წრის დაწყებამდე შეკრებაზე წამიყვანა და იქ შემპირდა, შენს პოზიციაზე დაგაბრუნებ, ოღონდ თავი უნდა მომაწონოო. სამი მატჩი ვერ ვითამაშე მთლად კარგად, მეოთხეში კი პირველ ტაიმშივე სამი საგოლე პასი გავაკეთე და მოულოდნელად, ახალკაცმა გამომცვალა. ვიფიქრე, დავიღუპე-მეთქი, მაგრამ ნამატჩევს მან ხელი გადამხვია, ამის შემდეგ მარჯვნივ ითამაშებო, მითხრა და თან ორდღიანი დასვენების საშუალება მომცა.

**— თქვით, „ტორპედოდან" „დინამოში" გადასვლა მთავრობის მითითებით მოხდაო. „დინამოზე" მთელი რესპუბლიკა მუშაობდაო, ხშირად გაგვიგონია...**

— ასე იყო, სხვანაირად ამდენი წარმატება ვერც მოვიდოდა. ედუარდ შევარდნაძეს უყვარდა ფეხბურთი, ბაზაზეც ხშირად გვსტუმრობდა, შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა გორგოძე კი ნაღდად ცალკე თემაა. მახსოვს, 13 მაისის ფინალზე გამგზავრებისას თბილისის აეროპორტში შევარდნაძემ გორგოძეს ჰკითხა, რას ვიზამთ დიუსელდორფშიო. მანაც უპასუხა, რა თქმა უნდა, მოვიგებთო. იცოდე, წაგების შემთხვევაში სამსახურს დაკარგავო — ასეთი იყო შევარდნაძის სიტყვები. ვიტალი დარასელიამ რომ გოლი გაიტანა, გორგოძე მინდორზე შემოვარდა, ხვევნა-კოცნა არ დაგვაკლო. შოთა გორგოძე კარიერის დასრულების შემდეგ ჩვენს სამსახურში მოწყობას უზრუნველყოფდა, გადამკვდარი იყო ფეხბურთელებზე. მთელი საქართველოს ყურადღებას ვგრძნობდით.

**— ნოდარ ახალკაცის მოსვლამდე „დინამო" მაინცდამაინც ვერ ბრწყინავდა. მაინც რა იყო მისი სამწვრთნელო ფურორის საიდუმლო?**

— დისციპლინა, ტაქტიკა და თავდადება ერთად აღებული. ახალკაცმა ზუსტად იცოდა, რა დოზით უნდა ყოფილიყო იმპროვიზაცია და რა დოზით პრაგმატიზმი. ის ღამეებს ათევდა კასეტების ყურებაში, დღე-ღამეში ალბათ ორი საათი თუ ეძინა.

**— სანამ 1981 წელზე გადავიდოდეთ, „ლივერპულთან" და „ჰამბურგთან" თამაშებზე ვთქვათ. ინგლისელები იმხანად ევროპის უპირველეს გუნდად ითვლებოდნენ, გერმანელებმა კი, ერთი შეხედვით, იოლად მოგიგეს...**

— სხვათა შორის, წინა წელს „ლივერპულმა" 6:0 მოუგო „ჰამბურგს". ინგლისელებს თავიანთი თამაშის საშუალება არ მივეცით, ყველაფრით ვაჯობეთ. „ჰამბურგს" შინ მე-5 წუთზევე 1:0 ვუგებდით და ტაიმის ბოლომდე ოთხი-ხუთი საგოლე მომენტი გვქონდა, სტუმრად წაგებული 1:3-ის მოტრიალება შეგვეძლო, მაგრამ ვერ გავიტანეთ და დავისაჯეთ. „ჰამბურგს" მარტო კიგანი კი არა, ჰრუბეში, ბულიანი, მაგათი და საერთოდაც, აწყობილი გუნდი ჰყავდა.

**— კიგანი ყველაზე ძლიერი ფორვარდი იყო, ვის წინააღმდეგაც გითამაშიათ?**

— ის უფრო უკანდაწეული ფორვარდი იყო. თავდამსხმელი რასაც ჰქვია, ბლოხინზე ძლიერი არ შემხვედრია — მთელი ევროპა დასდევდა და ვერ აჩერებდნენ, ჯერ მარტო „ბაიერნი" რა დღეში ჩააგდო.

**— 1981 წლის ტრიუმფალურ სეზონში „დინამოს" ყველაზე რთული მატჩი „ფეიენოორდთან" ჰქონდა სტუმრად. ცხადია, მსაჯობაზე გკითხავთ...**

— საშინაო 3:0 თითქოს იოლად გასვლას ნიშნავდა, მაგრამ ახალკაცმა მკაცრად გაგვაფრთხილა, ფინალამდე ჯერ შორიაო. იგი მსაჯების ფაქტორსაც ითვალისწინებდა. სხვათა შორის, ავსტრიელ ვიორერს მანამდე „ფეიენოორდის" ამხანაგური მატჩები უმსაჯია ავსტრიულ შეკრებაზე... ორი ასპროცენტიანი არჩათვლილი გოლი, გამოგონილი პენალტი ჩვენს კარში — რა ვიცი, კოშმარი იყო. 2:0 რომ გახდა, საიდანღაც ძალა მოვიკრიბეთ, მსაჯმა გაგვაბრაზა და თითქოს სტიმული მოგვცა, ბოლო 30 წუთი „ფეიენოორდი" ჩვენს ნახევარზე თითქმის არ გადმოგვიშვია.

**— ფინალში „კარლ ცაისთან" თამაშის წინ რა განწყობა იყო „დინამოში", გარკვეული შიში არ გქონდათ?**

— შიში ნაკლებად, ნერვიულობა უფრო ეთქმოდა. „კარლ ცაისმა" „ვალენსია", „რომა" და „ბენფიკა" ჩამოიშორა გზიდან. გერმანიაში რომ ჩავედით და „კარლ ცაისის" ვარჯიში ვნახეთ, გული შეგვიწუხდა — მხარბეჭიანი დევკაცები იყვნენ. ახალკაცი მიხვდა ამას და ფსიქოლოგიურად ყოველმხრივ გვამშვიდებდა.

**— „კარლ ცაისმა" რომ გოლი გაგიტანათ, რა გაიფიქრეთ?**

— თავში გამიელვა, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. სპონტანურად მოხდა, რომ საოცარი ძალა გამოვნახეთ. „კარლ ცაისი" უცნაური გუნდი იყო, გოლს თუ გაიტანდა, მერე აღარ უშვებდა ხოლმე. იმ თამაშში კი შეცდომა დაუშვეს, შეტევები გააგრძელეს, რათა საბოლოოდ მოეთავებინათ საქმე. ბოლო წუთებში ჩვენ აღმაფრენას ვგრძნობდით, ძირითადი დრო 1:1 რომც დამთავრებულიყო, დამატებითში მოვუგებდით.

**— რატომ მოხდა, რომ „დინამოს" ამ თასის მოგების შემდეგ ღრმა კრიზისი დაეწყო? მოტივაცია აღარ იყო?**

— საერთოდ, ყველა გუნდს სჭირდება ახალი სისხლი, მაგრამ 13 ფეხბურთელის წასვლა ნამეტანი იყო — 1982 წელს ლამის მთელი გუნდი დაიშალა. დავით ყიფიანის შემცვლელი როგორ უნდა გვპოვნა? კი, გრიგოლ ცაავა ნიჭიერი იყო, მაგრამ ყიფიანისნაირებს უნდა ემუდარო, რომ გუნდში დარჩეს. რატომღაც იოლად შეელივნენ მოთამაშეებს, მეც „ტორპედოში" წავედი.

**— „დინამოს" ოქროს წლების უცვლელმა ფეხბურთელმა საბჭოთა კავშირის ნაკრებში მხოლოდ სამი მატჩი ჩაატარეთ. ეს ალბათ, გულში ხინჯად დაგრჩათ...**

— რა თქმა უნდა. 33 საუკეთესოს შორის ჩემს ამპლუაში 1977 წელს მეორე ნომრად გავედი, მომდევნო წელს კი პირველი ვიყავი. იტალიურ კოვერჩიანოში ნაკრების შეკრებაზე ხუთი დინამოელი ვიყავით გამოძახებული. მწვრთნელი ნიკიტა სიმონიანი იყო, თანაშემწედ მასიაგინი მუშაობდა, ნაკრების უფროსი კი ლევ იაშინი გახლდათ. იტალიის B ნაკრებს ვხვდებოდით, პირველი ტაიმი 2:0 მოვიგეთ, მაგრამ შესვენებაზე შემცვალეს. არადა, თამაშის შემდეგ უმაღლესი შეფასება მომცეს. იაშინმა რომ გაიგო ჩემი შეცვლა, მწვრთნელებს გაბრაზებული მიუვარდა, მაგრამ რაღას იზამდა... მოკლედ, ნაკრებში ვერ გავიხარე.

*თამაზ კოსტავას უფეხბურთოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია: ფედერაცია, 18 და 17-წლამდელთა ნაკრებების მწვრთნელობა, ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მუშაობა, „ამერი"... ამჟამად იუბილარი „ნორჩ დინამოელში" 1988 წელს დაბადებულ ბავშვებს წვრთნის.*

*... მაგრამ ცხოვრება რთულია და 50 წლის თამაზ კოსტავა რამდენიმე თვის წინ სიკვდილის პირასაც კი იყო — სისხლძარღვების შევიწროვება ჰქონდა და სტენდირება გაიკეთა.*

*„დიდ მადლობას ვუხდი ზოსიან ხარებოვს, რომელმაც ოპერაცია დააფინანსა, იგი ქველმოქმედია და უანგაროდ მომეხმარა. ვეტერანმა ფეხბურთელებმა, ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ნორჩმა დინამოელმა" და მომღერალმა თემურ წიკლაურმაც დიდი დახმარება გამიწიეს. მთელი ჩემი ოჯახი ამ ხალხის ლოცვა-კურთხევაში ვიქნებით" — თამაზ კოსტავას მდიდარი კარიერა ჰქონდა და მდიდარია, რომ ასეთი თანამდგომი ხალხიც ჰყავს...*

**ილია ნანობაშვილი**

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი ამიერიდან უძრავი ქონების მაგნატი ფერნანდო მარტინი იქნება — სამეფო გუნდის დირექტორატში 2000 წლიდან მყოფი მილიონერი გალაქტიკოსებს, სულ მცირე, მომავალ არჩევნებამდე უთავკაცებს. რაც შეეხება ფლორენტინო პერესს... კაცმა, რომლის მმართველობისას (2000 წლის 17 ივლისი — 2006 წლის 27 თებერვალი) მადრიდულმა გრანდმა ორგზის ესპანეთის ჩემპიონობა (2001, 2003), ჩემპიონთა ლიგა (2002), საკონტინენტთაშორისო თასი (2002), ევროპის სუპერთასი (2002) და ორჯერ ესპანეთის სუპერთასი (2001, 2003) მოიგო, „რეალში“ შექმნილი ამჟამინდელი კრიზისის დაძლევის საუკეთესო საშუალებად თანამდებობიდან ნასვლა გადაწყვიტა. „რეალის“ ან უკვე ექსპრეზიდენტმა ორშაბათ საღამოს საგანგებო პრესკონფერენცია იწვია და სიტყვა გადადგომის თაობაზე განცხადებით დაიწყო...





ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე ტვირთად ქცეული „რეალი“ ფლორენტინო პერესმა ფერნანდო მარტინს გადააბარა

— მმართველი საბჭო იმიტომ შევკრიბე, რომ ვფიქრობ, „რეალს“ ცვლილებები სჭირდება. ჩემი აზრით, სწორედ ახლაა დრო, გუნდის პრეზიდენტობიდან წავიდე. ამ გადაწყვეტილებაზე ძალიან ბევრი ვიფიქრე და ვთვლი, რომ თანამდებობის დატოვებაში უპასუხისმგებლობისა და ალოგიკურობის ნატამალიც არ არის. ადრეც მითქვამს და გავიმეორებ — „რეალის“ მსგავს გიგანტს განსაკუთრებული წახალისება და განახლება სჭირდება. ამ პრინციპის განხორციელებას კი, უპირველეს ყოვლისა, ჩემი საქციელით ვაპირებ.

„რეალის“ ინჩადამ, ყველაზე საუკეთესომ და საამაყომ, რაც ამ კლუბს გააჩნია, ორჯერ გამომიცხადა სრული ნდობა, გუნდისთვის რთულ პერიოდში პრეზიდენტი ვყოფილიყავი. ეს ექვსი ბრწყინვალე, შესანიშნავი, მაგრამ ამასთანავე ძნელი წელიწადი გახლდათ. და როცა წარსულს გადავხედავ, შემიძლია, სიამაყით განვაცხადო — ჩვენმა მმართველობამ „რეალი“ მეტოქეთათვის მიუღწეველ სიმაღლეზე აიყვანა. მეტიც — კლუბის წევრმა ინჩასებმა უფლება მოიპოვეს, ამ ვეებერთელა ინსტიტუტის სამომავლო ბედი თავად გადაწყვიტონ. ისინი არიან და კიდევ მრავალი წელი იქნებიან „რეალის“ ერთადერთი ნამდვილი მფლობელი. ჩემი გადაწყვეტილება კი გუნდს აუცილებლად უნდა დაეხმაროს როგორც ამ სეზონის დარჩენილ ნაწილში, ისე სამომავლოდაც. მინდა, რომ ფლორენტინო პერესის პრეზიდენტობიდან წასვლა ნორმალურ მოვლენად ჩაითვალოს... მმართველმა საბჭომ ჩემს შემცვლელად ფერნანდო მარტინ ალვარესი ერთხმად დაასახელა. ახალ პრეზიდენტს ამ შეუპოვარ ბრძოლაში წარმატებებს ვუსურვებ. „რეალის“ თავკაცობა არაა ადვილი საქმე, თუმცა ვიცით, რომ ფერნანდო მარტინი გუნდის ღირსეულად გაძღოლას მოახერხებს...

„რეალის“ პრეზიდენტობამ რამდენიმე ბედნიერი წელი მაჩუქა და მინდა, ამისთვის ყველას მადლობა ვუთხრა — გულშემატკივრებს, ფეხბურთელებს, მედიას, კლუბის მომსახურე პერსონალს — ამ ხალხმა „რეალის“ ყველა სიხარული და ტკივილი ჩემთან ერთად განიცადა. ბავშვობიდან მოყოლებული, „რეალი“ ჩემთვის უწმინდესი მოვლენაა და მჯერა, ფლორენტინო პერესის დღევანდელი გადაწყვეტილებაც გუნდს სასიკეთოდ წაადგება. ყველას გმადლობთ. ახლა მზად ვარ, თქვენი შეკითხვები მოვისმინო.




# ფლორენტინო პერესი ასტრონომიაში ჩაიჭრა: კუდიანი ვარსკვლავები ვერ გამოთვალა

## უძრავი ქონება უძრავი ქონების უსტაბაშმა უნდა აამოძრაოს

— რატომ ჩათვალეთ, რომ სწორედ ახლაა თქვენი წასვლის დრო?

— კლუბს განახლება, წახალისება სჭირდებოდა. როგორც გითხარით, განახლების პირველი მაგალითი პრეზიდენტს უნდა ეჩვენებინა.

— რა მოხდება ამის შემდეგ?

— ნორმალურ, საქმიან პერიოდს გავივლით. მმართველი საბჭო ახალ პრეზიდენტს 2008 წლამდე დაამტკიცებს.

— რატომ განიზრახეთ თანამდებობის დატოვება და რა სამუშაოს შეასრულებს ფერნანდო მარტინი, თქვენი შემცვლელი?

— ჩემ წასვლას რაიმე უსაშველო კრიზისს ნუ დაუკავშირებთ. ვფიქრობ, კლუბი წმინდა სპორტული თვალსაზრისით საჭიროებდა ცვლილებებს. სეზონის ბოლომდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, მაგრამ „რეალში“ რამდენიმე მწვრთნელის შეცვლის მერე, რამაც გუნდს შესამჩნევი წარმატებები ვერ მოუტანა, ერთადერთი სწორი არჩევანი თავად პრეზიდენტის გამოცვლაა. მხოლოდ ამას შეუძლია, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისთვის ბრძოლაში გაგვამხნევოს.

— გუნდის შემადგენლობას უკვე ესაუბრეთ?

— „რეალის“ კაპიტანს, რაულს ვუთხარი, რომ წასვლას ვაპირებდი. ასევე ვესაუბრე გუნდის მწვრთნელ ლოპეს კაროსაც.

— როდის იფიქრეთ პირველად გადადგომაზე?

— გადაწყვეტილება „მალიორკასთან“ დამარცხების შემდეგ მივიღე. მაშინ მივხვდი, რომ კლუბის სასიკეთოდ რაღაც ძალიან სერიოზული უნდა გამეკეთებინა.

— შუა სეზონში საპრეზიდენტო ცვლილება „რეალს“ ზიანს არ მიაყენებს?

— მჯერა, ამ ცვლილებამ უფრო დადებითი ზეგავლენა უნდა მოახდინოს. დღევანდლამდე სწორი გზით არ მივდიოდით და იქნებ მმართველობის სათავეში ჩემმა არყოფნამ მნიშვნელოვანი შემობრუნება განაპირობოს.

— პერესის წასვლა „რეალის“ მწვრთნელ ლოპეს კაროს დათხოვნასაც ნიშნავს?

— არა, არავითარ შემთხვევაში.

— ჩემპიონთა ლიგაზე ვისაუბროთ. „არსენალთან“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ წაგების შემდეგ გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლა ძალიან გაძნელდა...

— გეთანხმებით, გაძნელდა, თუმცა აქ შეუძლებელს ვერაფერს ვხედავ. „ჰაიბერიზე“ საპასუხო მატჩში „რეალი“ თავის ბრძოლისუნარიანობას მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაუმტკიცებს.

— ბოლო დღეებში სამეფო გუნდის რამდენიმე ფეხბურთელმა მედიასთან პრეზიდენტისა და გულშემატკივრების მისამართით უკმაყოფილება გამოთქვა. ამან ხომ არ მიგიყვანათ გადადგომამდე? რონალდოს, რაულის და სერხიო რამოსის სიტყვები გაიხსენეთ...

— ფეხბურთელების დადანაშაულებას არ ვაპირებ, თუმცა ვფიქრობ, რომ ზოგიერთი მათგანი გარკვეული მიზეზების გამო ფრიად დაბნეულია. ვაღიარებ, ამ შეცდომათა ერთ-ერთი სულისჩამდგმელი მეც ვიყავი. იქნებ ჩემმა გადადგომამ ზოგიერთს თვალი აუხილოს...

— გუნდის ნაწილთან დაპირისპირებული იყავით?

— ჯილდოების სიმრავლემ რატომღაც უარყოფითი როლი შეასრულა... სამწუხაროდ, ფეხბურთელები კარგად ვერ გამოვზარდე. ბრწყინვალე გუნდი შევქმენით, თუმცა ზოგიერთს „რეალში“ თამაშმა თავგზა აუბნია. მინდა, ჩემი გადადგომით ვარსკვლავებს ვუჩვენო, რომ აქ ყველაზე მნიშვნელოვანი მადრიდის „რეალია“ და არა პირადი, ხშირად წვრილმანი პრობლემები.

— სამეფო გუნდის მმართველობაში აღარ დაბრუნდებით?

— ერთხელ დატოვებულ თანამდებობებს აღარ ვუბრუნდები.

— „რეალის“ შემადგენლობასთან რანაირი ურთიერთობა გქონდათ?

— კარგი ურთიერთობა მქონდა და მაქვს კიდეც, თუმც რაღაც პრობლემები მაინც იყო... „მალიორკასთან“ თამაშში სერხიო რამოსმა თავისი გოლი არ აღნიშნა, რითაც მიგვანიშნა, რომ „რეალის“ საქმეები ვერ არის წესრიგში. შექმნილ სირთულეებზე კი პასუხისმგებლობას სხვაზე მეტად ჩემ თავზე ვიღებ.

— როგორ ფიქრობთ, რა შეცდომები დაუშვით? „ზიდანების და პავონების პროექტმა“ არ გაამართლა?

— „რეალის“ ორი მთავარი საყრდენი დიდი ვარსკვლავები და მეორე გუნდიდან დაწინაურებული პერსპექტიული ახალგაზრდები იყვნენ. ახლა დაწვრილებით ვერ მოგითხრობთ, ორ ძალას შორის თანაფარდობა როდის და რანაირად დაირღვა. უბრალოდ გეტყვით, რომ გუნდიდან ჩემი წასვლით სიტუაციის გამოსწორებას ველი.

— თვლით, რომ მსოფლიოში საუკეთესოთა მუდმივმა ტრანსფერებმა დაგაზარალათ?

— ფიგუ, ზიდანი და ბექემი აუცილებლად უნდა მოსულიყვნენ გუნდში. ეს ჩვენი პროექტის ნაწილი გახლდათ. ცუდი ის არის, რომ ვარსკვლავებს შესაბამისი პასუხისმგებლობის გრძნობა ვერ ჩავუნერგეთ.

— რატომ აირჩიეთ პრეზიდენტად ფერნანდო მარტინი და არა ემილიო ბუტრაგენიო?

— ბუტრაგენიო თავად თვლის, რომ დაჩქარება საჭირო არ არის. ასე ვთქვათ, კლუბის თავკაცობის მხრივ ბუტრაგენიო ჩამოყალიბების პროცესშია.

— რაულმა თქვენი გადადგომა როგორ მიიღო?

— ვფიქრობ, საკმაოდ ეწყინა.

— პრეზიდენტობის პერიოდის ყველაზე გამორჩეული, შესანიშნავი დღე გაიხსენეთ.

— ყველა ჯილდო შესანიშნავი გახლდათ, თუმცა ჩემპიონთა ლიგის ფინალში ზიდანის საოცარმა გოლმა დაუვიწყარი შეგრძნება მაჩუქა. ვამაყობ, რომ ამ გუნდში რონალდო, ბექემი, ზიდანი და რობინიო თამაშობენ...

# აბრამოვიჩი სამყაროს შექმნას აპირებს

## ბალაკს კვირაში 121 ათას გირვანქას სთავაზობს



**აბა**, ვის არ ახსოვს, რომ ზაფხულში მიხაელ ბალაკს კონტრაქტი უთავდება მიუნხენის „ბაიერნთან"?! ჰოდა აკი ამბობენ, აგვისტოდან ბალაკი მსოფლიოში ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელი შეიქნება, რადგან ის კვირაში 121 ათას გირვანქას მიიღებსო.

დიახ, თურმე საიდუმლო ლაპარაკებით „ჩელსი" ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობს 24 წლის გერმანელს, რომელიც, როგორც ამბობენ, იანვარში უკვე ორჯერ ყოფილა ლონდონში თავის აგენტთან ერთად.

ბალაკს უარი უთქვამს „მანჩესტერისა" და „რეალისთვის", „ჩელსი" კი თურმე თავის ნებისმიერ ფეხბურთელს შეელევა ბალაკის სანაცვლოდ.

მოკლედ, მაურინიუ უკვე მეხუთე ფეხბურთელსართმევს ალექს ფერგიუსონს.

ბალაკის წინამორბედთა სია ასეთია: დემიენ დაფი, არიენ რობენი, მიკაელ ესიენი და ყრმა მიკელ ობი...

მისტერ ჩელსკის ჯიბეს ბოლო არა აქვს.

**ირაკლი გამყრელიძე**

**P.S.** გუშინ გავრცელებული ცნობით, ბალაკი და მისი აგენტი მიხაელ ბეკერი უარყოფენ „ჩელსისთან" კონტაქტს. ბალაკმა თქვა, ლონდონში არ ვყოფილვარო, ბეკერმა კი ამ ამბავს მონაჭორი უწოდა.



# ჩეხი საუკეთესო ჩეხია

**ჩეხეთის** 2005 წლის საუკეთესო მოთამაშედ ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის" მეკარე პეტრ ჩეხი აღიარეს. 23 წლის გოლკიპერი კარიერაში პირველად გახდა ქვეყნის უპირველესი ფეხბურთელი და სავსებით დამსახურებულადაც. ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს შორის ჩატარებულ გამოკითხვაში ჩეხმა არცთუ დიდი უპირატესობით აჯობა „დორტმუნდის" პლეიმეიკერ ტომაშ როსიცკის. ხოლო 2004 წლის საუკეთესო, ტურინის „იუვენტუსის" ნახევარმცველი პაველ ნედვედი მესამე ადგილზე გავიდა.

ჩეხმა წინა სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა და ახლაც ჩინებულად თამაშობს. დიდია მისი წილი „ჩელსის" მიერ 50-წლიანი „უქმობის" შემდეგ პრემიერლიგის მოგებაში და ამასთან, მან დაამყარა ლიგის ორი რეკორდი. ჩეხმა წინა სეზონის 24 შეხვედრაში კარი მშრალად შეინახა და ზედიზედ 1025 წუთის მანძილზე გოლი არ გაუშვია.

აღსანიშნავია, რომ აქამდე ჩეხეთის წლის საუკეთესო მოთამაშედ მხოლოდ ორი მეკარე დაუსახელებიათ. 1976 წელს ევროპის ჩემპიონატის მოგები ნაკრების ლეგენდარული კარის დარაჯი ივო ვიქტორი და 1996 წელს ასევე ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასული გუნდის გოლკიპერი პეტრ კოუბა.

**კოკი კანდელაკი**

# პარაგვაისნაირი ურუგვაი



მანჩესტერელი კირან რიჩარდსონი ორი ბურთით ვარჯიშობს

**ლივერპული** სანაკრებო ამხანაგურის მოლოდინშია: ინგლისი ურუგვაის მასპინძლობს. ყველაზე საინტერესო ინგლისურ შემადგენლობაში ისაა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ბილეთს უმიზნებენ ჩარლტონელი დებიუტანტი დარიენ ბენტი და ტოტენჰემელი ჯერმენ დეფო.

დღევანდელი თამაში „ენფილდზე" ბოლო ამხანაგურია ინგლისის ნაკრებისთვის მაისამდე, როცა გუნდი ყაზარმულ მდგომარეობაზე გადავა.

„ჩარლტონის" მაისურით წლეულს 17 გოლის გამტანი ბენტი ალბათ მეორე ტაიმში გამოჩნდება მინდორზე, დეფოს კი თავისი სანაკრებო კარიერის აღდგენის შანსი აქვს. ცნობილია, რომ ნაკრების თავდასხმაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ოუენ-რუნის წყვილი ითამაშებს. შემცვლელად პიტერ კროუჩი იქნება, მეორე ადგილისთვის კი ხსენებული ორი მეგოლე იჭიდავებს.

ნაკრების მესამე მეკარედ „ნორვიჩ სიტის" რობერტ გრინია შეგულებული, თუმცა მანაც უნდა დაამტკიცოს, რომ პოლ რობინსონის და დევიდ ჯეიმსის შეცვლა შეუძლია. ინგლისელთა დაცვის ცენტრი ყველაზე მეტ კონკურენტს უყრის თავს. რიო ფერდინანდი და ჯონ ტერი ძირითადის ხალხი ჩანან, თუმცა ერიკსონი ვუდგეიტს, კემპბელსა და ჯემი კარაგერსაც უცქერის.

ურუგვაი კი იმიტომაა შერჩეული მეტოქედ, რომ 10 ივნისს ინგლისი პარაგვაისთან მატჩით იწყებს.

„ნაკრებისთვის უხერხული დრო არ არსებობს — ამბობს ჯონ ტერი — სეზონის ყველაზე მძიმე მონაკვეთი კლუბებში ახლა გვაქვს, მაგრამ ნაკრებში თამაში ისეთ გრძნობებს იწვევს, რომ არც დაღლა გახსოვს და არც სხვა რამ".

ურუგვაელებს დროებით მწვრთნელად გუსტავო ფერინი ჰყავთ, ხორხე ფოსატი გადამდგარია, რადგან ურუგვაელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ადგილი ავსტრალიელებს დაუთმეს.

**ირაკლი გამყრელიძე**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ინგლისი:** პ. რობინსონი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ტერი, ბრიჯი, ბექემი, ლამპარდი, ჯერარდი, ჯ. კოული, რუნი, კროუჩი

**ურუგვაი:** კარინი, დიოგო, ლუგანო, გოდინი, დ. როდრიგესი, რ. ნუნიესი, პოუსო, რეგეირო, რეკობა, პანდიანი, ფორლანი

# რეიესს ენა რად უნდა?



**მეორე წელია**, რაც ხოსე რეიესმა ესპანური „სევილია" ინგლისურ „არსენალზე" გაცვალა.

მეორე წელი — სავსებით საკმარისი დროა საიმისოდ, რომ კაცმა ენა ისწავლოს, იმდენად მაინც, რომ მწვრთნელის და თანაგუნდელების გაიგოს.

არა, იმასაც ვერ ვიტყვით, რომ რეიესი ინგლისურის გაგებაში არ არის, მაგრამ ცოდნაც არის და ცოდნაც. რეიესის ინგლისურს არათუ უზადოს, საშუალოსაც ვერ ვუწოდებთ.

თავად რეიესი ამბობს, გუნდში ექვსი თუ შვიდი ფეხბურთელი ესპანურად ვლაპარაკობთ, უფრო მეტი მოფრანგულე გვყავს და ინგლისელები დიდ უმცირესობაში არიანო.

„სად უნდა ვისწავლო ინგლისური? — დასძენს ფეხბურთელი — გასახდელში მხოლოდ ფრანგული და ესპანური მესმის. აი, ჩემმა მეგობარმა გოგომ კი უცბად ისწავლა ეს ენა, რადგან ინგლისელებთან ხშირი ურთიერთობა აქვს. ისე, სიმართლე რომ ვთქვა, ამაზე დიდად არც ვღელავ „არსენალში" შინაურ გარემოს ვგრძნობ".

ბოლოს დავძინოთ, რომ „არსენალის" შემადგენლობაში ბოლო ხუთ მატჩში ინგლისელს არ უთამაშია და რად უნდა რეიესს ინგლისური?

**ირაკლი ნინიძე**

# წილი ძველი სიყვარულისთვის



**ინგლისელმა** პოპ-ვარსკვლავმა რობი უილიამსმა მესამე დივიზიონის საფეხბურთო კლუბ „პორტ ვეილის" წილი იყიდა.

ეს არის გუნდი, რომელსაც რობი ბავშვობიდან ქომაგობს.

— რა თქმა უნდა, ვეილში ხშირად ვერ ვიქნები, ჩემი ინვესტიცია ისე უნდა ჩაითვალოს, როგორც ჩემი გულის ნაწილი და მხარდაჭერა — თქვა მომღერალმა.

კლუბის თავმჯდომარე ბილ ბრეტი ძალიან გახარებული დარჩა: „საუცხოო საქციელია. ეს ნიშნავს, რომ მომავალი გვაქვს".

„პორტ ვეილი" არასოდეს გარეულა დიდების მარაქაში. მისი საუკეთესო შედეგი 1931 წელს მეორე დივიზიონში დაკავებული მეხუთე ადგილია.

# იუვეს ათიანის ათიანში გარტყმა უნდა

## სამიზნეზეა სტივენ ჯერარდი



**ბოლო დღეებში** იტალიური და ინგლისური პრესა ძალიან საინტერესო ამბავზე წერს — ტურინის „იუვენტუსისთვის“ მომავალ ზაფხულს უპირველისი სამიზნე სტივენ ჯერარდი იქნებაო, ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი და „ლივერპულის“ კაპიტანი. თანაც უკვე იმდენი დეტალია ცნობილი, რომ ეს ინფორმაცია არცთუ უსაფუძვლო ჩანს.

„ბებერი ქალბატონის“ ნახევარდაცვის ცენტრი (ემერსონი-ვიეირა) ახლა ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესია, თუ საუკეთესო არა. ამბობენ, სეზონის ბოლოს „ინტერიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით წასული კრისტიანო ძანეტიც „დელე ალპიზე“ გადავაო. მისი დამატება კაპელოს დიდი ხანია სურს. თუმცა, როგორც ჩანს, დონ ფაბიო ამაზე შეჩერებას არ აპირებს და ჯერარდისთვისაც დაუდგამს თვალი. ეს ლოგიკურიცაა, რადგანაც „იუვეს“ ნახევარდაცვა მძლავრი კია, მაგრამ ემერსონი, ვიეირა, ნედვედი და ძანეტიც ბავშვები ნამდვილად აღარ არიან და მაღალ დონეზე კიდევ რამდენ ხანს შეძლებენ თამაშს, საკითხავია, თანაც ჯერარდს და „იუვენტუსს“ ერთმანეთს ადრეც უკავშირებდნენ.

იწერება, ლუჩანო მოჯი ამ ტრანსფერისთვის 21 მილიონ გირვანქას ამზადებს, ანაც 17 მილიონს პლუს ჯონათან ძებინაო. თავად ჯერარდს კი ოთხწლიან კონტრაქტს და მშვენიერ ხელფასს — სეზონში 4 მილიონ გირვანქას სთავაზობენო. ცნობილია, რომ გუნდის გამოცვლაზე ჯერარდი ადრეც ფიქრობდა, მაგრამ „ჩელსისგან“ მიღებულ მიმზიდველ წინადადებებს არ დახარბდა და ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ „ენფილდზე“ დარჩენა გადაწყვიტა. რა იქნება ახლა, ალბათ დიდწილად „ლივერპულის“ მომავალ შედეგებზეა დამოკიდებული და გუნდის მთავარი მწვრთნელის რაფაელ ბენიტესის გადაწყვეტილებაზეც, რომელსაც მადრიდის “რეალი“ ეპატიჟება. „იუვენტუსი“ კი, ყოველ ზაფხულს, როგორც წესი, ერთ მაღალი კლასის ძვირადღირებულ ფეხბურთელს ყიდულობს, ვნახოთ...

**გიორგი ძაძაგაძე**



# ტოტის ცისფერი ჩაო

**ფრანჩესკო ტოტი,** რომლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის საკითხი ბოლო დღეების მთავარ იტალიურ თემად ქცეულა, მუნდიალის შემდეგ სანაკრებო კარიერას ასრულებს.

ტოტიმ ამის თაობაზე თქვა: „მე ძალიან მინდა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში, რადგან ეს ჩემი ბოლო ჩემპიონატი იქნება. ამასთანავე, იმედი მაქვს, რომ „სკუადრა აძურა“ გერმანიაში წარმატებას მიაღწევს და მეც კმაყოფილი გამოვემშვიდობები ნაკრებს“.

30 წლის ფრანჩესკო ტოტისთვის წინა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, გეხსომებათ, გვარიანად უიღბლო გამოდგა. მუნდიალიდან იტალია მერვედფინალიდან გავარდა და სამხრეთ კორეასთან იმ მატჩში ტოტი მეორე გაფრთხილებით გააძევეს. ხოლო ევროპის ჩემპიონატზე ტელეობიექტივმა ტოტი დანიელი კრისტიან პოულსენისთვის შეფურთხებაში ამხილა, რაც ფეხბურთელს ოთხმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა.

**ქოტე ძეძელია**

# სესკი დიდ ესპანეთში

**18 წლის** ფრანსესკ ფაბრეგასი და მასზე 11 წლით უფროსი მარკოს სენა პირველად გამოიძახეს ესპანეთის ნაკრებში. ამ სეზონში მისავათებულ „არსენალში“ თუ ვინმეს გამორჩევა შეიძლება, ეს სწორედ ფაბრეგასია, რომლის კარგი თამაშიც ლუის არაგონესს შეუმჩნეველი არ დარჩა და ეროვნულ გუნდში უხმო.

„ჩემს საკლუბო კარიერას არ ვემდური — თქვა არსენალელმა — ახლა კი ნაკრებში ადგილისთვისაც ვიბრძოლებ. მწვრთნელი მენდო და თავს არ დავზოგავ“.

სესკ ფაბრეგასი არაგონესს დაშავებული ხავის შემცვლელად შეუგულებია, რომელსაც ტრავმა გაუმიზეზდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთს ვებ ვერც დაეხმაროს.

რაც შეეხება „ვილიარეალის“ მარკოს სენას, ის ბრაზილიაშია დაბადებული და მერე ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო. „ვილიარეალმა“ პრიმერადივიზიონსა თუ ევროთასებზე ყოჩაღობით ევროპა აალაპარაკა, სენას კი მუნდიალზე თამაშის შანსი გაუჩნდა: „მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლა ალბათ ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა. უნდა დავამტკიცო, რომ ნაკრების მაისურის ღირსი ვარ“.

ესპანელებს კოტ დივუართან შეხვედრაში გუტი, რუბენ ბარახა და რაული დააკლდებათ. რაულის ადგილს „ვალენსიას“ ფორვარდი, 15 გოლის გამტანი დავიდ ვილა დაიკავებს. აქვე გავიხსენოთ, რომ შარშან, ნოემბერში კოტ დივუარი რომში იტალიას 1:1 დაუზავდა და იმავე თვეში რუმინეთი 2:1 დაამარცხა. წლეულს, თებერვალში კი აფრიკის ეროვნებათა თასის ფინალში გავიდა, სადაც ეგვიპტესთან წააგო. ასე რომ, ესპანეთს „სპილოებთან“ გვარიანი ჯაჯგური მოუწევს.

**ვაჟა ხუციშვილი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ესპანეთი:** კასილიასი, სალგადო, პუიოლი, სერხიო რამოსი, ანტონიო ლოპესი, ლუის გარსია, ალბელდა, ფაბრეგასი, რეიესი, ფ. ტორესი, ვილია

**კოტ დივუარი:** ტიზიე, ბოკა, კ. ტურე, კუასი, ებუ, ზოკორა, ი. ტურე, აკალე, ფაე, დროგბა, არუნა კონე

# იყავ თამამი და დამალე ხელობა

## ალისამ ჯილას გოლები გამოუწერა



**24 წლის** ალბერტო ჯილარდინო, გეხსომებათ, „მილანმა“ „პარმასგან“ ზაფხულში 25 მილიონ ევროდ გადაიყვანა. თავად „ჯილაც“ ახალ სეზონს იმედიანად ელოდა, თუმც სკეპტიკოსები მაინც ამბობდნენ, ჯილარდინო „პარმაში“ კი ბრწყინავდა, მაგრამ „მილანის“ დონე სულ სხვაა და რამდენად „გაქაჩავს“, ესაა მთავარიო.

„გაქაჩა“ და მერე როგორ — პიაჩენცაში დაბადებულმა ფორვარდმა შავ-წითელი მაისურით წლეულს უკვე 17 გოლი გაიტანა (15 სერია A-ში და ორიც იტალიის თასზე). ერთი სიტყვით, ალბერტო ჯილარდინო ნელ-ნელა „მილანის“ ერთ-ერთ საკვანძო ფეხბურთელადაც ყალიბდება. რა იქნება შემდეგ, ცხადია, წინასწარ ვერავინ იტყვის, მაგრამ ფორვარდმა გუშინ იტალიურ მედიასთან საუბარში თავისი „გოლაობის“ საიდუმლო გათქვა. ამ საიდუმლოს კი, არც მეტი, არც ნაკლები, ალისა ჰქვია.

„იგი ჩემზე ორი წლით უმცროსია. ალისა ჯერაც სტუდენტია, კრემონას უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობს“ — მოკლედ მოჭრა ჯილარდინომ.

პირმშვენიერმა ალისამ და ალბერტომ ერთმანეთი ორი წლის წინ გაიცნეს კორტინას ფესტივალზე, „ჯილა“ მაშინ „პარმაში“ იმკვიდრებდა ადგილს, მაგრამ გოგოსთვის არც კი გაუმხელია, რომ ფეხბურთელი იყო.

„ფესტივალზე ერთი სიმპათიური ახალგაზრდა თამამად მომიახლოვდა. და პირდაპირ განმიცხადა, მე ალბერტო მქვია და შენი გაცნობა მსურსო. რომ ავხედ-დავხედე, სიმართლე ვთქვა, მომეწონა, მაგრამ მისი ზედმეტი სითამამე მეხამუშება, ამიტომ ყურადღება არ მივაქციე. ის კი მაინც არ მეშვებოდა“ — იხსენებს ალისა.

ჰოდა, რომ არ მოეშვა, ჯილარდინო და ალისა დღეს ერთად არიან, წყვილი მილანში ცხოვრობს. ჟურნალისტებმა ჯვრისწერაზე „ჯილას“ კონკრეტული თარიღი ვერ დააცდენინეს, მაგრამ ის კი გაიგეს, ქორწილი ან ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების წინ იქნება, ანაც მუნდიალის მერე.

„ნუ გაიკვირვებთ და, ფეხბურთი საერთოდ არ მაინტერესებდა. მერე რომ გავიგე, ალბერტო ფეხბურთელი იყო, სხვა რა გზა მქონდა? ახლა სტადიონზე სიარული ძალიან მიყვარს და მისი თამაში ერთხელაც არ გამიცდენია“ — დასძენს ალისა.

ალბერტო ჯილარდინო კი ახლა კოვერჩანოშია, იტალიის ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე. „სკუადრა აძურა“ დღეს, ფლორენციაში გერმანიის ეროვნულ გუნდს ამხანაგურად ეთამაშება.

**გიორგი ვაშაძიძე**

# მარადონა შიშველია



**რიოს კარნავალზე** მილეთის ხალხია ჩასული და მათ შორისაა დიეგო არმანდოც.

თითქმის ტიტველა გოგოების ცქერაში გართულ მარადონას, ისე როგორ იქნებოდა, ჟურნალისტები არ მისდგომოდნენ და პროვოკაციული კითხვა არ დაესვათ: აბა, ვინ მოიგებს მსოფლიო ჩემპიონატსო.

დიდმა დიეგომ თქვა: „ჩემპიონატისთვის სხვებზე უკეთ მომზადებული ბრაზილიაა. თქვენს ნაკრებს ტოპ-მწვრთნელი და ფეხბურთელები ჰყავს, რომელთაც უკვე იციან, როგორ უნდა მოიგო მსოფლიო თასი“.

ამის მერე დიეგოს ალბათ გაახსენდა, რომ მის კომენტარს არგენტინაშიც წაიკითხავდნენ და არ ეამებოდათ. ამიტომ დასძინა: „თუმც არც ის გამიკვირდება, ფავორიტობის მიუხედავად, ბრაზილია ჩემპიონი ვერ გახდეს. კარგად იცით, რომ ბრაზილიის წინააღმდეგ ყველა გამორჩეულად ინდომებს“.

# fanaoba@hotmail.com

თავიდანვე ვიტყვით: ბევრ რამეს, რაც ფოსტით გულშემატკივრებმა მოიწერეს, სრულად ვეთანხმებით. მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ კომენტარებში იმაზე გაგვემახვილებინა ყურადღება, რასაც ამ წერილებში არ ვეთანხმებით ან სადავოდ მიგვაჩნია. გათვლა ასეთია: გვსურს, ჩვენი რუბრიკის ავტორები კამათში ჩავაბათ, რაც რუბრიკას უფრო საინტერესოს გახდის

**GELOIKA:** ტერიე ჰაუგე VS ჩელსი...

წარმოიდგინეთ, მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალების კენჭისყრა მოეწყო, მხოლოდ „ჩელსი" — „ბარსელონას" თამაში მიტრიალებდა თავში. და აი, დადგა ის დღე, როცა თამაში უნდა გამართულიყო. ნუ იმ დღეს სხვა განსახილველი თემა არ მქონდა — თემა იყო ერთი: რა თქმა უნდა, „ჩელსი" — „ბარსელონა".

და აი, გახდა 23.40 საათი და დაიწყო მატჩი-ბრძოლა, რომელიც ჩემთვის 37-ე წუთზე დამთავრდა. მართლა გასაგები რომ ყოფილიყო დელ ორნო, ბევრი მსაჯი ალბათ თვალს დახუჭავდა. არა, ისე არ გამიგოთ, თითქოს პირიქით რომ მომხდარიყო გამეხარდებოდა, უბრალოდ, „ჩელსი" — „ბარსელონა" ჩემთვის არის თერთმეტი თერთმეტზე სადაც ერთი კაცის გაძევებაც ნებისმიერი გუნდიდან აშკარა უპირატესობას აძლევს მეორეს და უნდა დაჯდე და უყურო, როგორ იცავს თავს ერთი გუნდი მთელი თამაში და უტევს მეორე რაც საბოლოოდ შედეგშიც აისახა.

ძირს ჰაუგე!

**P.S.** ველოდები განმეორებით შეხვედრას.

პატივცემული ავტორი გვთხოვს წარმოვიდგინოთ, რომ ლიგის მერვედფინალის კენჭისყრის მერე მხოლოდ „ჩელსი" — „ბარსელონას" მატჩზე ფიქრობდა. ჩვენი რუბრიკის ავტორების თხოვნას ჩვენ შეძლებისდაგვარად ყოველთვის ვითვალისწინებთ, მაგრამ ამჯერად არაფერი გამოგვდის, რადგან გვგონია, რომ ამდენი ხნის განმავლობაში (წილისყრიდან მატჩამდე) მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრი შეუძლებელია.

ეს ხუმრობით. უფრო მნიშვნელოვანი ავტორის ის მოსაზრება გვგონია, რომლის თანახმადაც ასეთი დონის მატჩში მსაჯი ფეხბურთელს არ უნდა აგდებდეს. აქ ლაპარაკი არ არის იმაზე კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული ფეხბურთელი იმსახურებდა თუ არა გაძევებას — ავტორი, თუ ჩვენ სწორად გავიგეთ — ამ დონის მატჩებში გაძევების წინააღმდეგია, რაც არასწორად მიგვაჩნია: გასაგები უნდა გაიგდოს.

**DATO.TSS:** „სარბიელს" გაუმარჯოს. თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ ქართველებს მართლაც შესანიშნავი ფეხბურთელი გვყავს კახა კალაძის სახით. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნამდვილი პროფესიონალია. ასეთი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელიც კი ვერ ითამაშებდა. კახამ კი ეს შეძლო და შესანიშნავადაც. ბრავო კახა, მე მისით ნამდვილად აღფრთოვანებული ვარ.

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, „ბარსამ" ყველას დაანახა, რომ ლიგის უმთავრესი ფავორიტი მხოლოდ ის არის. მართალია, „ჩელსი" 10 კაცით თამაშობდა, მაგრამ თუ ერთი კაცის გაგდებამ გამოიწვია ისეთი დონის გუნდის დამარცხება, როგორიც „ჩელსია", მაშინ სულ ტყუილად ტრაბახობდა მაურინიუ. ჩემი აზრით, „ბარსა" ესპანეთშიც დამაჯერებლად მოუგებს „ჩელსის". ფავორიტებში მეორე ადგილზე „იუვენტუსსა" და „მილანს" დავაყენებდი. მართალია, „იუვემ" ვერ მოიგო, მაგრამ სახლში ხომ სათამაშო აქვს. ვერც „მილანია" კარგ ფორმაში, თუმცა იმდენი ძალა მაინც შერჩენია, პირველობისთვის რომ იბრძოლოს.

„არსენალიც" არაა ცუდი გუნდი, ბოლოს და ბოლოს, „რეალს" მოუგო მისსავე მოედანზე. აი, „რეალმა", „ბაიერნმა" და „ინტერმა" ნამდვილად იმედები გამიცრუა. დანარჩენი გუნდებიც მეტ-ნაკლებად იბრძოლებენ და ვნახოთ, რა გამოვა. ვფიქრობ, წინ საინტერესო თამაშები გველის.

წინ უდავოდ საინტერესო თამაშები გველის, მაგრამ ერთ რამეში ავტორს შევეკამათებით: ის თვლის რომ ერთი კაცის გაგდება „ჩელსისთვის" დიდი ვერაფერი დანაკლისი უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ ასე იქნებოდა „ჩელსის" მეტოქე მაგალითად ხაშურის „ივერია" რომ ყოფილიყო, მაგრამ „ბარსელონასთან" მატჩისას კაცნაკლულობა უდავოდ უდიდესი დანაკლისია.

**KVIZO:** გაუმარჯოს „სარბიელს"!!! სამწუხაროდ, მე რომელსაც ვქომაგობ, ის გუნდი წელს ლიგაში არაა („ვალენსია") და ცოტა უხალისოდ ვუყურებ მატჩებს, მაგრამ გაისად დაბრუნდებიან და ოცნებაც მაქვს, ფინალში „ბარსას" ან „ბაიერნს" შეხვდნენ — მესამედ აღარ წააგებენ.

ახლა, წლევანდელ ლიგაზე: ჩემი აზრით, რაიკარდი მართლაც ძლიერი მწვრთნელია და „ბარსას" სიდიდე მხოლოდ ეტო-რონალდინიო-მესიში არ უნდა ვეძებოთ. „ბარსა" გახდა გუნდი, რომელიც უდიდეს ყურადღებას აქცევს ტაქტიკას, რაც კრუიფის, ვან გაალის და რექსაჩის დროს არ არსებობდა — მაშინდელი „ბარსა" დასაცინ ფეხბურთს თამაშობდა, არანაირი სერიოზულობა არ ეტყობოდა. „ბარსას" სტილს რატომღაც ბრაზილიურს ადარებენ, თუმცა უფრო ჰოლანდიურს ჰგავს (ბურთის ტარება, განსაკუთრებული აქცენტი ფლანგებიდან თამაშზე).

ძალიან არ მიყვარს „ბარსელონა" და ცივი გონებითაც ვამბობ, რომ ლიგას ვერ მოიგებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე საუკეთესო გუნდი ჩანს. გადამწყვეტ მატჩს „ბარსა" იგივე „იუვეს" ან „მილანს" ვერ მოუგებს. „ლიონთანაც" ძალიან გაუჭირდება. „ჩელსი" წლეულს უკვე გამოსატირებელია — „კამპ ნოუს" განიერ მინდორზე ჩელსის ბიჭებს შანსი არ აქვთ. ნეტა ვცდებოდე.

„არსენალის" მადრიდში მოგება სიურპრიზი იყო, არანაირად არ ველოდი და დღესაც მგონია, რომ „ჰაიბერიზე" „რეალი" მოიგებს, თან ძალიან ბევრი გოლი გავა (2:4, 3:4, 2:3...). არა, „რეალი" ლიგის მომგები მაინც არ ჩანს, უბრალოდ, ესპანურ კლუბებს ბრიტანელებთან კარგად გამოსდით თამაში და უმეტესად უგებენ. სხვა საქმეა, რომ „მეთოფეებს" ჰყავთ მსოფლიოს უდავოდ უძლიერესი ფორვარდი: ტიერი ანრი ყველაფრით შემკული ფეხბურთელია, შევჩენკოსაც მაგრად მირჩევნია.

„მილანი" 100 პროცენტით გამოთიშავს „ბაიერნს", რომელსაც ძველებურად მხოლოდ იღბალის იმედი ნულარ ექნება — კმარა, რაც აქამდე უმართლებდა.

„ლივერპული" — „ბენფიკა": კუმანის გუნდი ძალიან შემტევი ტიპისაა და ერთ გოლს მაინც გაიტანს „ენფილდზე". ასე რომ, ჯერარდი და კომპანია ხელს დაგვიქნევს.

„ლიონი" — აი, გუნდი, რომელსაც ჯერ საკადრისად ვერ აფასებენ და ეს მათ უმეტეს, საშიშს ხდის ულიეს ანსამბლს, რომელსაც ჰყავს სასწაული ფიზიკური გამძლეობის მოთამაშეები და ერთი გამორჩეული ვარსკვლავი, სახელად ჟუნინიო. „ლიონი" ძალიან მოსაწყენი გუნდი იქნებოდა, ჟუნინიო რომ არ ჰყავდეს — ის ძალიან ალამაზებს ფრანგების თამაშს. „ლიონს" ვქომაგობ წელს ლიგაზე — მთავარია, ფინალში გავიდეს და იქ მეზობელი პარიზია.

რაც შეეხება უეფას თასს, მრცხვენია, რომ „ვალენსიას" მერე მოსკოვის ცსკა-მ აიღო თასი. ძალიან გაუფასურდა უეფა. ახლაც თითქოს „რომა" მოჩანს მთავარ ფავორიტად, მაგრამ კაცმა არ იცის, დააყენებს კი ყველა მატჩში უძლიერეს შემადგენლობას. ასე რომ, არ გამიკვირდება, „ზენიტმა" ან „ლილმა" მოიგონ უეფა.

ჰოო, ავტორს ძალიან არ უყვარს „ბარსელონა". რექსაჩისა რა მოგახსენოთ, მაგრამ კრუიფის დროს „ბარსელონა" დასაცინ ფეხბურთს თამაშობდაო, პირველად გვესმის.

„ბაიერნს" ძველებურად იღბლის იმედი ნუ ექნებაო — აქ ავტორი აშკარად იმაზე მიგვანიშნებს, „ვალენსია" შემთხვევით დაამარცხეს მიუნხენელებმა თავის დროზე ლიგის ფინალშიო.

**ZAUR ARSENALOV:** რას ერჩის უეფა სკანდინაველ მსაჯებს? შარშან ხომ მუქარით დაშინებულ შვედ ანდერს ფრისკს გადააგდებინეს სასტვენი, ახლა ნორვეგიელ ტერიე ჰაუგეს დატოვებენ უმუშევრად, რომელსაც „ჩელსის" ფანები სიკვდილით ემუქრებიან. წინასწარ მეცოდება ის, ვინც ბარსელონაში უნდა იმსაჯოს.

რა თქმა უნდა, თვითონ მსაჯებიც არ არიან ანგელოზები — ასიერ დელ ორნო მესის ჩაწიხლისთვის თავიდანვე უნდა გაეფრთხილებინათ და თამაშიც აღარ გაფუჭდებოდა. გასაგები ნაღდად იყო კარლეს პუიოლი, მეორე ტაიმში ჩელსელს ფეხები კინაღამ რომ მოამტვრია. ამ წყვილში საბოლოო გამარჯვებულის გამოცნობა ძნელია, მიუხედავად იმისა, რომ „ბარსას" ერთბურთიანი ფორა აქვს და შინ თამაშობს. ერთ რამესაც მიაქციეთ ყურადღება — ბოლო ერთი წლის განმავლობაში, „ჩელსი" — „ბარსა" სამჯერ იყო და სამჯერვე პირველი გოლი ჩელსელებმა გაიტანეს.

რაც შეეხება „ბაიერნ" — „მილანს", მაინტერესებს, ისმეილს ხელი მაიხურის ქვეშ რომ ჰქონოდა, მსაჯი პენალტს მაინც დანიშნავდა? „ბაიერნს" მილანში ბალაკი თუ უშველის, ანჩელოტი კი შეცდა მიუნხენში, პაპო რომ არ ათამაშა.

როგორი ცუდიც არ უნდა იყოს „რეალი", ძალიან ძნელია, ამ გუნდს ორი თამაში მოუგო. ამიტომ ვფიქრობ, რომ ლონდონში „რეალი" იმარჯვებს და მიკვირს „არსენალის" ასეთ სუსტ დაცვას „ბერნაბეუზე" გოლი როგორ ვერ გაუტანეს, საოცარია, ამდენი ფორვარდი ჰყავთ გუნდში და... „ჰაიბერიზე" მგონია, რომ „რეალის" გამოცდილება მაინც გადასწონის „არსენალისას" და მეოთხედფინალში მადრიდელები გავლენ.

„რეალი" თუ „არსენალი"? აი, რა აინტერესებს გულშემატკივარს. არ ვიცით ისე, გამოცდილება არც „მეთოფეებს" აკლიათ. ჰო, ამ წერილის ავტორი **ZAUR ARSENALOV**-ი წესით, „არსენალის" ფანი უნდა იყოს.



ნეტავ რაზე ლაპარაკობენ და გულში კი რას ფიქრობენ მაურინიუ და რაიკარდი?

**WEB-ოსტატი ბუარა**

ბოლოს კი აი, რა გვინდა შემოგთავაზოთ. მოდით, გუშინწინდელ „სარბიელში" დაბეჭდილი პაპუნა კედიას წერილის თემა განვავრცოთ და მოგვწერეთ: ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ ჩემპიონები უნდა თამაშობდნენ, რაც საქართველოს ჩემპიონსაც გაუჩენდა შანსს, თუ NBA-ს ტიპის დახურული ლიგა გირჩევნიათ, სადაც უცხო ცხვირსაც ვერ შეყოფს, სამაგიეროდ, „ჩელსი" — „ბარსელონა" მუდამ გამოწერილი გექნებათ?

fanaoba@hotmail.com

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXIII ტური

ფრაიბურგი 2:1 მიუნხენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 23 | 13 | 7 | 3 | 38:18 | 46 |
| ალემანია | 22 | 13 | 3 | 6 | 40:23 | 42 |
| ფრაიბურგი | 23 | 11 | 5 | 7 | 31:25 | 38 |
| პადერბორნი | 23 | 10 | 6 | 7 | 35:20 | 36 |
| კოტბუსი | 22 | 10 | 6 | 6 | 35:25 | 36 |
| ფიურტი | 22 | 10 | 6 | 6 | 35:29 | 36 |
| კარლსრუე | 23 | 10 | 6 | 7 | 33:29 | 36 |
| უნტერჰახინგი | 23 | 10 | 4 | 9 | 35:29 | 34 |
| ბურგჰაუზენი | 23 | 8 | 8 | 7 | 28:34 | 32 |
| მიუნხენი | 23 | 8 | 7 | 8 | 31:30 | 31 |
| ჰანზა | 22 | 9 | 4 | 9 | 30:29 | 31 |
| ბრაუნშვაიგი | 21 | 9 | 3 | 9 | 22:22 | 30 |
| აუე | 23 | 7 | 8 | 8 | 21:24 | 29 |
| ოფენბახი | 22 | 6 | 3 | 13 | 22:43 | 21 |
| ზიგენი | 22 | 5 | 5 | 12 | 22:31 | 20 |
| დინამო | 21 | 5 | 5 | 11 | 22:32 | 20 |
| ზაარბრიუკენი | 22 | 5 | 5 | 12 | 22:42 | 20 |
| ალენი | 22 | 3 | 7 | 12 | 20:37 | 16 |

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

XXVII ტური

მონპელიე 2:1 სეტე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 27 | 13 | 10 | 4 | 37:23 | 49 |
| ბასტია | 26 | 13 | 7 | 6 | 37:21 | 46 |
| ვალანსიენი | 27 | 12 | 10 | 5 | 34:22 | 46 |
| ლორიანი | 27 | 12 | 9 | 6 | 32:19 | 45 |
| დიჟონი | 27 | 11 | 9 | 7 | 31:24 | 42 |
| კრეტეი | 27 | 10 | 11 | 6 | 35:20 | 41 |
| მონპელიე | 27 | 10 | 9 | 8 | 26:27 | 39 |
| კაენი | 27 | 9 | 11 | 7 | 32:26 | 38 |
| ლე ავრი | 27 | 8 | 12 | 7 | 32:30 | 36 |
| გენიონი | 27 | 8 | 12 | 7 | 18:25 | 36 |
| გრენობლი | 27 | 9 | 8 | 10 | 26:30 | 35 |
| შატორუ | 27 | 7 | 11 | 9 | 32:34 | 32 |
| რეიმსი | 26 | 6 | 13 | 7 | 21:18 | 31 |
| ამიენი | 27 | 6 | 13 | 8 | 25:27 | 31 |
| ბრესტი | 27 | 7 | 10 | 10 | 25:30 | 31 |
| გენგამი | 27 | 6 | 12 | 9 | 19:21 | 30 |
| ისტრი | 27 | 7 | 9 | 11 | 24:36 | 30 |
| კლერმონი | 27 | 7 | 7 | 13 | 23:42 | 28 |
| ლავალი | 27 | 7 | 5 | 15 | 23:38 | 26 |
| სეტე | 27 | 3 | 8 | 16 | 22:41 | 17 |

## იტალია

სერია B. XXX ტური

ალბინოლეფე 2:3 ატალანტა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კატანია | 30 | 16 | 9 | 5 | 45:30 | 57 |
| ატალანტა | 30 | 17 | 5 | 8 | 47:34 | 56 |
| მანტოვა | 30 | 15 | 10 | 5 | 39:25 | 55 |
| ჩეზენა | 30 | 15 | 8 | 7 | 46:33 | 53 |
| ბრეშა | 30 | 12 | 13 | 5 | 40:24 | 49 |
| ტორინო | 30 | 12 | 12 | 6 | 34:25 | 48 |
| არეცო | 30 | 11 | 12 | 7 | 30:21 | 45 |
| კროტონე | 30 | 12 | 7 | 11 | 34:31 | 43 |
| პესკარა | 30 | 11 | 9 | 10 | 30:31 | 42 |
| ვერონა | 30 | 9 | 14 | 7 | 33:26 | 41 |
| პიაჩენცა | 30 | 9 | 13 | 8 | 39:34 | 40 |
| ბოლონია | 30 | 9 | 12 | 9 | 32:33 | 39 |
| რიმინი | 30 | 9 | 11 | 10 | 33:34 | 38 |
| ტრიესტინა | 30 | 9 | 11 | 10 | 30:34 | 38 |
| მოდენა | 30 | 8 | 13 | 9 | 38:33 | 37 |
| ვიჩენცა | 30 | 9 | 7 | 14 | 28:38 | 34 |
| ბარი | 30 | 7 | 12 | 11 | 31:36 | 33 |
| აველინო | 30 | 6 | 10 | 14 | 29:48 | 28 |
| ტერნანა | 30 | 5 | 12 | 13 | 22:40 | 27 |
| ალბინოლეფე | 30 | 4 | 13 | 13 | 22:38 | 25 |
| კატანძარო | 30 | 6 | 7 | 17 | 17:38 | 25 |
| კრემონეზე | 30 | 5 | 8 | 17 | 25:38 | 23 |

## პორტუგალია

სუპერლიგა. XXIV ტური

ბრაგა 5:0 რიუ ავე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 24 | 15 | 6 | 3 | 35:14 | 51 |
| სპორტინგი | 24 | 15 | 4 | 5 | 39:22 | 49 |
| ბრაგა | 24 | 14 | 5 | 5 | 29:13 | 47 |
| ბენფიკა | 24 | 14 | 4 | 6 | 38:21 | 46 |
| ბოავიშტა | 24 | 12 | 8 | 4 | 34:20 | 44 |
| ნასიონალი | 24 | 12 | 7 | 5 | 30:18 | 43 |
| სეტუბალი | 24 | 12 | 3 | 9 | 21:18 | 39 |
| ლეირია | 24 | 9 | 5 | 10 | 32:33 | 32 |
| მარიტიმუ | 24 | 7 | 9 | 8 | 28:27 | 30 |
| ბელენენსეში | 24 | 8 | 4 | 12 | 30:30 | 28 |
| ჟილ ვისენტე | 24 | 8 | 3 | 13 | 26:30 | 27 |
| ამადორა | 24 | 7 | 6 | 11 | 19:24 | 27 |
| რიუ ავე | 24 | 6 | 8 | 10 | 25:35 | 26 |
| ფერეირა | 24 | 7 | 5 | 12 | 23:35 | 26 |
| აკადემიკა | 24 | 7 | 5 | 12 | 23:35 | 26 |
| ნავალი | 24 | 7 | 3 | 14 | 24:35 | 24 |
| გიმარაეში | 24 | 6 | 6 | 12 | 16:30 | 24 |
| პენაფიელი | 24 | 2 | 5 | 17 | 16:48 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პატარა, რომელმაც მსოფლიოს თასი არ აღმართა



**კარლოს ვალდერამა იმ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ. რაც შეეხება კოლუმბიურ ფეხბურთს, აქ მისი ბადალი არავინ ყოფილა და ალბათ დიდი დრო გავა, სანამ ვინმე გამოჩნდება. მაინც რით იპყრობდა ვალდერამა ყურადღებას? უპირველეს ყოვლისა, დახვეული ყვითელი თმით, მაგრამ მხოლოდ გარეგნობა რა მოსატანია, როდესაც ის მსოფლიოს მასშტაბით დიდი ფეხბურთელი გახლდათ. განა ბევრი გვინახავს ერთი შეხებით საუცხოო პასების შემოქმედი გამთამაშებელი? ზურგსუკან რა ხდებოდა, იმასაც ხვდებოდა და ხედავდა. კარლოს ვალდერამა სამჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე 1990, 1994 და 1998 წლებში. გარდა კოლუმბიისა, თამაშობდა ესპანეთისა და საფრანგეთის ლიგებში, ბოლოს კი აშშ-ს მიაკითხა. გთავაზობთ დიდი კოლუმბიელის ინტერვიუს თარგმანს და ვფიქრობთ, მის პიროვნებას საინტერესო კუთხით დაგანახვებთ**

**— სინიორ ვალდერამა, კოლუმბიაში კარლოსს არავინ გეძახით, ხომ მართალია?**

— ჩემი მეტსახელია ელ პიბე (პატარა). ის არგენტინელმა რუბენ დეიბემ შემარქვა და სამუდამოდ შემრჩა. ეს რუბენ დეიბე „უნიონ მაგდალენაში“ მამაჩემის მწვრთნელი იყო, მამას კი ყოველ ვარჯიშზე დავყავდი, თუმცა, ცხადია, იყო დღეები, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო „უნიონ მაგდალენას“ ვარჯიშს ვერ ვესწრებოდი. ასეთ დღეებში მწვრთნელი მამას ეკითხებოდა, ელ პიბე სად არისო. ჰოდა, მას მერე ჩემთვის კარლოსი აღარავის დაუძახია.

**— ალბათ, თქვენი ცხოვრების არჩევანი მნიშვნელოვანწილად მამათქვენმა განაპირობა.**

— მამას ჩემთვის არაფერი დაუძალებია, თუმცა, როდესაც ოჯახში გამოვაცხადე, რომ ფეხბურთელობას ვაპირებდი, მანაც და დედამაც მხარი დამიჭირეს. ჩემთვის ფეხბურთელობა ბუნებრივი რამ იყო, თანდათან მოვიდა. თავიდან ჩემი უბნის გუნდ „პასკალიტოში“ დავიწყე, შემდეგ იუნიორებში გადავედი, მერე ახალგაზრდებში და ასე შემდეგ. ვთამაშობდი უბნების, სკოლების და სხვა პირველობებზე. მოკლედ, მთელი ცხოვრება ფეხბურთს ვთამაშობ. ახლაც, შაბათი ან კვირა ისე არ გავა, 50-წლამდელთა პირველობაზე რომ არ გამოვიდე და ჯადოსნური შეგრძნებაც ძველებურად მეუფლება.

**— საერთოდ რით ბრძანდებით დაკავებული?**

— ბარანკილაში აკადემია გავხსენი და ჩემი დროის უდიდეს ნაწილს მას ვუთმობ. გარდა ამისა, კონტრაქტი მაქვს „მეიჯორ ლიგ სოკერთან“, სამი წლის განმავლობაში მთელ ამერიკაში საწვრთნელ შეკრებებზე მიწვევდა სიარული, მაგრამ ამ კონტრაქტს უკვე ვადა გასდის და განვაახლებ თუ არა, ჯერ არ ვიცი.

**— ერთი სიტყვით, აშშ მსოფლიო ფეხბურთში ანგარიშგასაწევ ძალად თქვენ თვალწინ გარდაიქმნა.**

— დიახ. ამერიკელები ძალიან ბევრს და ძალიან მეთოდურად მუშაობდნენ, რასაც ზურგს დიდი ფულიც უმაგრებდა. მერედა, რაც უფრო ვითარდებოდა მათი ლიგა, მით უფრო ხვეწდნენ მოთამაშეთა შერჩევის და აღზრდის ხერხებსაც. მოკლედ, შესარჩევში მექსიკის წინ რომ გავიდნენ, არ გამკვირვებია. ნახავთ, ამერიკელები გერმანიაში დიდ შთაბეჭდილებას მოახდენენ.

**— რაკი სიტყვამ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიტანა, გვითხარით, როგორ აფასებთ სამხრეთამერიკული ნაკრებების შანსებს?**

— ბრაზილია და არგენტინა ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატთა შორის რომ არიან, ლაპარაკი არ უნდა, ხომ მართალია?! შემდეგ დავასახელებდი პარაგვაის, რომელსაც გუნდში გამოცდილთა და ახალგაზრდათა კარგი ნაზავი ჰყავს. დღევანდელი პარაგვაი ძალიან მაგონებს ამავე ქვეყნის 1998 წლის ნაკრებს. რაც შეეხება ეკვადორს, მას ალბათ ყველაზე მეტად გაუჭირდება, რადგან გამოუცდელია, თუმცა ნიჭი და დაჟინება არ აკლია.

**— თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, რას ურჩევდით სამხრეთ ამერიკის გუნდებს?**

— აი, კითხვა! ალბათ, ეკვადორელებს ვეტყოდი, ყველა ღონე იხმარონ, რათა პირველი თამაში არ წააგონ. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ეს უმნიშვნელოვანესი რამ გახლავთ. კარგია, რომ პირველ შეხვედრაში გერმანია არ ერგოთ.

**— რომელი გუნდების დაკვირვებას გვირჩევდით?**

— ძალიან მომწონს პორტუგალია და ინგლისი. მათ კარგი ფეხბურთელები ჰყავთ და მას მერე, რაც თამაშის სტილიც შეცვალეს, უფრო გაძლიერდნენ.

**— აშკარაა, თქვენ ფეხბურთს მწვრთნელის თვალით უყურებთ. ამ პროფესიასთან შეჭიდებას ხომ არ აპირებთ?**

— რა თქმა უნდა, ამასწინათ ცოტა დამაკლდა და „რეალ კარტახენას“ მწვრთნელობას ვყაბულდებოდი. ბოლოს უარი ვთქვი, რადგან საამისოდ მთლად შესაფერისი დრო არ იყო. დიდი სიამოვნებით ჩავუდგებოდი სათავეში ჩემი მშობლიური ქალაქის გუნდს „უნიონ მაგდალენას“. არის ასეთი ანდაზა, კარგი რამეები ლოდინად ღირს. ასეთია ჩემი მწვრთნელობისადმი დამოკიდებულებაც. ეჭვი არ მეპარება, რომ შანსი მომეცემა.

**— აქედან დასკვნა: ერთ მშვენიერ დღეს კოლუმბიის ნაკრების გაწვრთნაზეც არ იტყოდით უარს.**

— რა თქმა უნდა არ ვიტყოდი. მწვრთნელი იმისაა, წარმატებული კარიერა რომ უნდოდეს და ნებისმიერს ადრე თუ გვიან თავისი ქვეყნის ნაკრების სათავეში ჩადგომა სურს. ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა. მე ჯერ შანსი არ მომცემია და არც ისე მინდა გამოვიდე, რომ ვინმეს ძირს ვუთხრი, მაგრამ კოლუმბიის ნაკრების გაწვრთნას თუ შემომთავაზებენ, დავყაბულდები. ვფიქრობ, საამისოდ ახლაც არ არის ცუდი დრო: მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გავედით, მაგრამ, სამაგიეროდ, გვყავს არაჩვეულებრივი ყმაწვილები, რომლებიც 20-წლამდელთა მუნდიალზე მოხვდნენ. ამ ბიჭების დიდი ნაწილი უცხოეთში თამაშობს და იქ იძენს აუცილებელ გამოცდილებას. სწორედ ამიტომ ექნება ახლანდელ მწვრთნელს ან ნებისმიერს ვინც მას შეცვლის, წინამორბედებთან შედარებით დიდზე დიდი უპირატესობა.

**— თქვენს პოზიციაზე დღეს თუ არიან დიდი ფეხბურთელები?**

— საუცხოოა რონალდინიო, ზიდანი ზიდანად რჩება და რიკელმე ევროპაში სახელს იკეთებს. რაც შეეხება მესის, არ ვარ დარწმუნებული, რომ სწორ პოზიციაზე თამაშობს, მაგრამ ძალიან ძლიერი რომ არის, ლაპარაკი არ უნდა. მე კი ალბათ რიკელმე მგავს, რადგან პასები ყველაზე მეტად მას ეხერხება და თან, როდესაც მირბის, მაშინაც ძალიან მაგონებს ჩემ თავს.

**— და ბოლოს, რას ვერ მიაღწიეთ კარიერაში, რაზე გწყდებათ გული?**

— აბა, დავფიქრდე- ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონობას ვისურვებდი, მაგრამ რომ არ ვარ, ამაზე გული მაინცდამაინც არ მწყდება. ისე, ამ ცოტა ხნის წინ, როდესაც მსოფლიო თასი ბოგოტაში ჩამოიტანეს და მივუახლოვდი, ძლიერი განცდა დამეუფლა, მაგრამ მიკარება ვერ გავბედე, რადგან მსოფლიოს ჩემპიონი არ ვყოფილვარ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **4 მარტი** | | | | | | |
| 16:45 | 1 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 7.50 | 4.00 | 1.40 | 2.60 | 1.17 | 1.03 |
| 19:00 | 3 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 1.90 | 3.20 | 3.85 | 1.19 | 1.27 | 1.74 |
| 19:00 | 4 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 19:00 | 5 | ფულჰემი-არსენალი | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| 19:00 | 6 | ნიუკასლი-ბოლტონი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 7 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 21:15 | 8 | ლივერპული-ჩარლტონი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 17:30 | 10 | სიტი-სანდერლენდი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 20:00 | 11 | ტოტენჰემი-ბლეკბერნი | 1.90 | 3.20 | 3.85 | 1.19 | 1.27 | 1.74 |
| | | **6 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 12 | უიგანი-მანჩესტერი | 4.20 | 3.50 | 1.75 | 1.90 | 1.23 | 1.16 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **4 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 15 | ლესტერი-ჰალი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 16 | პრესტონი-იფსვიჩი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 19:00 | 17 | კრისტალ პალასი-ლიდსი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 18 | მილუოლი-ლუტონი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 19:00 | 19 | ბარნლი-რედინგი | 3.80 | 3.20 | 1.85 | 1.73 | 1.24 | 1.17 |
| 19:00 | 20 | კარდიფი-ქუინსი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 19:00 | 21 | ნორვიჩი-სტოკი | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 19:00 | 22 | ქპრ-ვულვერჰემპტონი | 2.60 | 2.90 | 2.55 | 1.37 | 1.28 | 1.35 |
| 19:00 | 23 | პლიმუთი-ბრაიტონი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 19:00 | 24 | საუთჰემპტონი-ქოვენტრი | 2.10 | 3.40 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **4 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 28 | ბრედფორდი-ბლეკპული | 2.00 | 2.90 | 3.50 | 1.18 | 1.27 | 1.58 |
| 19:00 | 29 | უოლსოლი-ბორნმუთი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 19:00 | 30 | კოლჩესტერი-სუონსი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 31 | ბარნსლი-სუინდონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 32 | საუთენდი-ტრანმერი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 33 | ჩესტერფილდი-იოვილი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:00 | 34 | ჯილინგემი-ბრენტფორდი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 19:00 | 35 | ჰადერსფილდი-დონკასტერი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 19:00 | 36 | სკანთორპი-ჰარტლპული | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 37 | პორტ ვეილი-დონსი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 19:00 | 38 | ბრისტოლი-ნოტინგემი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 19:00 | 39 | როტერჰემი-ოლდემი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **4 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 42 | როჩდეილი-დარლინგტონი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 43 | რაშდენი-გრიმსბი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 19:00 | 44 | შრუსბერი-ლეიტონი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 19:00 | 45 | კარლაილი-ლინკოლნი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 19:00 | 46 | ბური-მაკლსფილდი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 47 | ნოტსი-მანსფილდი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 48 | ბოსტონი-ნორთჰემპტონი | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 19:00 | 49 | პიტერბორო-სტოკპორტი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| 19:00 | 50 | ჩესტერი-ტორკი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 51 | ბარნეტი-რექსემი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 19:00 | 52 | ჩელტენჰემი-უიკომბი | 2.50 | 3.00 | 2.60 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 19:00 | 53 | ოქსფორდი-როვერსი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **4 მარტი** | | | | | | |
| 18:30 | 99 | ნიურნბერგი-დუისბურგი | 1.85 | 3.40 | 3.90 | 1.19 | 1.25 | 1.81 |
| 18:30 | 100 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1.65 | 3.30 | 5.50 | 1.10 | 1.26 | 2.06 |
| 18:30 | 101 | ჰერტა-კიოლნი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 18:30 | 103 | დორტმუნდი-მაინცი | 1.60 | 3.50 | 5.40 | 1.09 | 1.23 | 2.12 |
| 18:30 | 105 | ჰანოვერი-შალკე | 2.65 | 3.10 | 2.55 | 1.42 | 1.29 | 1.39 |
| 18:30 | 106 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 18:30 | 107 | ლევერკუზენი-ვერდერი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 20:30 | 108 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 20:30 | 109 | მიონხენგლადბახი-არმინია | 1.85 | 3.30 | 3.95 | 1.18 | 1.25 | 1.79 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 125 | კოლნ-ლევერკუზენი(მ) | 1.60 | 3.60 | 4.30 | 1.10 | 1.16 | 1.95 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **4 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 163 | მილანი-ემპოლი | 1.18 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.08 | 4.10 |
| 23:30 | 165 | სამპდორია-იუვენტუსი | 4.00 | 3.00 | 1.95 | 1.71 | 1.31 | 1.18 |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 167 | კიევო-ლაციო | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 18:00 | 168 | ლეჩე-პალერმო | 3.10 | 3.00 | 2.30 | 1.52 | 1.32 | 1.30 |
| 18:00 | 169 | მესინა-პარმა | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| 18:00 | 170 | ტრევიზო-რეჯინა | 2.65 | 2.90 | 2.70 | 1.38 | 1.33 | 1.39 |
| 18:00 | 171 | ფიორენტინა-სიენა | 1.58 | 3.40 | 6.00 | 1.07 | 1.25 | 2.17 |
| 18:00 | 172 | უდინეზე-ასკოლი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 18:00 | 173 | ლივორნო-კალიარი | 1.70 | 3.10 | 5.50 | 1.09 | 1.29 | 1.98 |
| 23:30 | 174 | რომა-ინტერი | 2.60 | 2.90 | 2.75 | 1.37 | 1.33 | 1.41 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **4 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 206 | ვილიარეალი-ალავესი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 23:00 | 209 | რეალი-ატლეტიკო | 1.70 | 3.30 | 4.85 | 1.12 | 1.25 | 1.96 |
| 21:00 | 212 | კადისი-ესპანიოლი | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 23:45 | 213 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.45 | 3.80 | 7.20 | 1.04 | 1.20 | 2.48 |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 22:00 | 208 | სევილია-ბილბაო | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 20:00 | 211 | ხეტაფე-ბეტისი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 20:00 | 214 | რასინგი-მალიორკა | 2.10 | 3.10 | 3.35 | 1.25 | 1.29 | 1.61 |
| 20:00 | 215 | სელტა-ოსასუნა | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| 23:45 | 216 | მალაგა-ვალენსია | 4.50 | 3.40 | 1.75 | 1.93 | 1.25 | 1.15 |
| 20:00 | 217 | სოსიედადი-სარაგოსა | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **3 მარტი** | | | | | | |
| 23:30 | 272 | ნაიმეგენი-ალკმაარი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| | | **4 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 273 | ტილბურგი-გრონინგენი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 22:30 | 274 | პსვ-ჰერენვენი | 1.35 | 4.20 | 7.20 | 1.02 | 1.13 | 2.65 |
| 22:30 | 276 | ბრედა-როზენდაალი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 23:00 | 277 | ვიტესი-როდა | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 15:30 | 278 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 17:30 | 280 | აიაქსი-სპარტა | 1.30 | 4.60 | 7.50 | 1.01 | 1.10 | 2.85 |
| 17:30 | 282 | ტვენტე-ჰერაკლესი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 17:30 | 283 | ვალვაიკი-დენ ჰააგი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **3 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 345 | კრაკოვია-გურნიკი | 1.50 | 3.50 | 6.20 | 1.04 | 1.20 | 2.23 |
| 23:00 | 346 | ლეგია-ბელხატოვი | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| | | **4 მარტი** | | | | | | |
| 16:00 | 347 | კორონა-პოგონი | 1.75 | 3.30 | 3.80 | 1.14 | 1.19 | 1.76 |
| 21:00 | 348 | ზაგლებე-პოლონია | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 21:00 | 349 | პლოცკი-ლეხი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 21:00 | 350 | ამიკა-ოდრა | 1.70 | 3.20 | 4.30 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| 21:00 | 351 | ლეჩნა-არკა | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 21:00 | 352 | ვისლა-გროცლინი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 405 | ველესი-რივერ პლეიტი | 2.45 | 3.30 | 2.45 | 1.40 | 1.22 | 1.40 |
| 23:45 | 406 | ხიმნასია ჟ-ინსტიტუტო | 1.45 | 3.70 | 6.40 | 1.04 | 1.18 | 2.34 |
| 23:45 | 407 | არსენალი-ნიუელსი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:45 | 408 | როსარიო-არგენტინოს ხუნიორსი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 23:45 | 409 | ლანუსი-სან ლორენსო | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 23:45 | 410 | ესტუდიანტესი-ტირო ფედერალი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 23:45 | 411 | ბოკა ხუნიორსი-ხიმნასია ლპ | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 22:15 | 440 | იტალია-გერმანია | 2.05 | 3.00 | 3.40 | 1.21 | 1.27 | 1.59 |
| 23:45 | 441 | მექსიკა-განა | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 23:45 | 442 | ვენესუელა-კოლუმბია | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 23:45 | 443 | პორტუგალია-საუდის არაბეთი | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| 23:15 | 444 | ლუქსემბურგი-ბელგია | 18.00 | 6.50 | 1.10 | 4.77 | 1.03 | 1.00 |
| 20:00 | 445 | მაკედონია-ბულგარეთი | 3.10 | 3.10 | 2.15 | 1.54 | 1.26 | 1.26 |
| 22:00 | 452 | სენეგალი-ნორვეგია | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 20:00 | 453 | რუსეთი-ბრაზილია | 4.20 | 3.20 | 1.75 | 1.81 | 1.23 | 1.13 |
| 22:00 | 454 | ისრაელი-დანია | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| 22:00 | 455 | ტუნისი-სერბეთი | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 23:00 | 457 | აშშ-პოლონეთი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 23:30 | 458 | ავსტრია-კანადა | 1.50 | 3.40 | 6.30 | 1.04 | 1.21 | 2.20 |
| 23:30 | 459 | ჰოლანდია-ეკვადორი | 1.30 | 4.40 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 3.00 |
| 23:45 | 460 | ხორვატია-არგენტინა | 4.80 | 3.30 | 1.65 | 1.95 | 1.22 | 1.10 |
| 23:45 | 461 | ინგლისი-ურუგვაი | 1.45 | 3.50 | 7.00 | 1.02 | 1.20 | 2.33 |
| 22:00 | 462 | თურქეთი-ჩეხეთი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 23:45 | 463 | ჩრდ.ირლანდია-ესტონეთი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 464 | უელსი-პარაგვაი | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| 23:30 | 465 | ირლანდია-შვედეთი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 23:45 | 466 | საფრანგეთი-სლოვაკეთი | 1.30 | 4.10 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.76 |
| 23:45 | 467 | შოტლანდია-შვეიცარია | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 23:45 | 468 | ესპანეთი-კოტ დივუარი | 1.55 | 3.50 | 5.90 | 1.07 | 1.22 | 2.19 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 493 | კარაკასი-სან პაულუ | 4.40 | 3.20 | 1.70 | 1.85 | 1.22 | 1.11 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 494 | პაულისტა-ლიბერტადი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 23:45 | 495 | პალმეირასი-ნასიონალი | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი რუსეთი 1 მარტი** | | | | | | |
| 14:00 | 713 | დინამო-ვიტიაზი | 1.25 | 4.80 | 5.30 | 1.00 | 1.01 | 2.51 |
| 14:00 | 714 | სპარტაკი-ნეფტეხიმიკი | 1.80 | 4.20 | 2.80 | 1.25 | 1.09 | 1.67 |
| 14:00 | 715 | ლადა-მაგნიტოგორსკი | 4.20 | 4.50 | 1.35 | 2.17 | 1.02 | 1.03 |
| 14:00 | 716 | სევერსტალი-ახკ | 1.75 | 4.20 | 2.85 | 1.23 | 1.08 | 1.69 |
| 14:00 | 717 | ავანგარდი-ლოკომოტივი | 1.80 | 4.20 | 2.75 | 1.25 | 1.08 | 1.66 |
| 14:00 | 718 | ს.იულაევი-სიბირი | 1.55 | 4.50 | 3.30 | 1.15 | 1.05 | 1.90 |
| 14:00 | 719 | აკ ბარსი-მეტალურგი | 1.10 | 5.50 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 3.25 |
| 14:00 | 720 | ცსკა-ნოვოკუზნეცკი | 1.45 | 4.60 | 3.85 | 1.10 | 1.05 | 2.09 |
| 14:00 | .721 | ხიმიკი-მვდ | 1.40 | 4.70 | 4.00 | 1.07 | 1.03 | 2.16 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **კალათბურთი. ევროლიგა. 1 მარტი** | | | | | | |
| 20:45 | 879 | რიტასი-ბამბერგი | 1.20 | 12.00 | 4.00 | 1.09 | 1.00 | 3.00 |
| 21:15 | 880 | ცსკა-ტაუ | 1.45 | 12.00 | 2.35 | 1.29 | 1.00 | 1.96 |
| 22:15 | 881 | ეფესი-ციბონა | 1.15 | 12.00 | 3.70 | 1.04 | 1.00 | 2.82 |
| 23:45 | 882 | ბენეტონი-პანათინაიკოსი | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 883 | მაკაბი-ულკერი | 1.05 | 12.00 | 7.00 | 1.00 | 1.00 | 4.42 |
| 22:45 | 884 | ოლიმპიაკოსი-ჟალგირისი | 1.45 | 12.00 | 2.10 | 1.29 | 1.00 | 1.78 |
| 23:00 | 885 | უნიკახა-ბარსელონა | 1.60 | 12.00 | 2.00 | 1.41 | 1.00 | 1.71 |
| 23:45 | 886 | რეალი-ბოლონია | 1.55 | 12.00 | 2.10 | 1.37 | 1.00 | 1.78 |
| | | **ჩოგბურთი ქალები დოხა. 1 მარტი** | | | | | | |
| 16:00 | 519 | პინგისი-სკიავონი | 1.20 | | 3.50 | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10440 | იტალია-გერმანია | 2.40 | 2.00 | 3.90 | 1.09 | 1.48 | 1.32 |
| 10441 | მექსიკა-განა | 2.00 | 2.10 | 5.00 | 1.02 | 1.42 | 1.47 |
| 10442 | ვენესუელა-კოლუმბია | 2.85 | 2.00 | 2.90 | 1.17 | 1.43 | 1.18 |
| 10443 | პორტუგალია-საუდის არაბეთი | 1.65 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.29 | 1.66 |
| 10445 | მაკედონია-ბულგარეთი | 3.50 | 2.00 | 2.55 | 1.27 | 1.47 | 1.12 |
| 10452 | სენეგალი-ნორვეგია | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10453 | რუსეთი-ბრაზილია | 4.60 | 2.00 | 2.25 | 1.39 | 1.51 | 1.05 |
| 10454 | ისრაელი-დანია | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10455 | ტუნისი-სერბეთი | 2.75 | 2.00 | 3.10 | 1.15 | 1.45 | 1.21 |
| 10457 | აშშ-პოლონეთი | 2.90 | 2.00 | 2.95 | 1.18 | 1.46 | 1.19 |
| 10458 | ავსტრია-კანადა | 1.85 | 2.20 | 5.50 | 1.00 | 1.38 | 1.57 |
| 10459 | ჰოლანდია-ეკვადორი | 1.55 | 2.50 | 7.00 | 1.00 | 1.26 | 1.84 |
| 10460 | ხორვატია-არგენტინა | 4.60 | 2.00 | 2.15 | 1.39 | 1.46 | 1.03 |
| 10461 | ინგლისი-ურუგვაი | 1.75 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.35 | 1.60 |
| 10462 | თურქეთი-ჩეხეთი | 2.80 | 2.00 | 2.95 | 1.16 | 1.43 | 1.19 |
| 10463 | ჩრდ.ირლანდია-ესტონეთი | 2.55 | 2.00 | 3.45 | 1.12 | 1.46 | 1.26 |
| 10464 | უელსი-პარაგვაი | 3.15 | 2.00 | 2.85 | 1.22 | 1.49 | 1.17 |
| 10465 | ირლანდია-შვედეთი | 2.85 | 2.00 | 3.00 | 1.17 | 1.46 | 1.20 |
| 10466 | საფრანგეთი-სლოვაკეთი | 1.55 | 2.50 | 6.50 | 1.00 | 1.25 | 1.80 |
| 10467 | შოტლანდია-შვეიცარია | 2.85 | 2.00 | 2.90 | 1.17 | 1.43 | 1.18 |
| 10468 | ესპანეთი-კოტ დივუარი | 1.85 | 2.30 | 5.50 | 1.02 | 1.38 | 1.62 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11440 | იტალია-გერმანია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11441 | მექსიკა-განა | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11442 | ვენესუელა-კოლუმბია | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11443 | პორტუგალია-საუდის არაბეთი | 1.75 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11445 | მაკედონია-ბულგარეთი | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.10 |
| 11452 | სენეგალი-ნორვეგია | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11453 | რუსეთი-ბრაზილია | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11454 | ისრაელი-დანია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11455 | ტუნისი-სერბეთი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11457 | აშშ-პოლონეთი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11458 | ავსტრია-კანადა | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.50 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 9.00 |
| 11459 | ჰოლანდია-ეკვადორი | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11460 | ხორვატია-არგენტინა | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11461 | ინგლისი-ურუგვაი | 1.95 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11462 | თურქეთი-ჩეხეთი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11463 | ჩრდ.ირლანდია-ესტონეთი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11464 | უელსი-პარაგვაი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.50 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11465 | ირლანდია-შვედეთი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11466 | საფრანგეთი-სლოვაკეთი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11467 | შოტლანდია-შვეიცარია | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11468 | ესპანეთი-კოტ დივუარი | 1.95 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.50 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12440 | იტალია-გერმანია | 1.70 | 1.90 |
| 12441 | მექსიკა-განა | 1.70 | 1.90 |
| 12442 | ვენესუელა-კოლუმბია | 1.70 | 1.90 |
| 12443 | პორტუგალია-საუდის არაბეთი | 1.90 | 1.70 |
| 12445 | მაკედონია-ბულგარეთი | 1.70 | 1.90 |
| 12452 | სენეგალი-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 12453 | რუსეთი-ბრაზილია | 1.70 | 1.90 |
| 12454 | ისრაელი-დანია | 1.70 | 1.90 |
| 12455 | ტუნისი-სერბეთი | 1.60 | 2.00 |
| 12457 | აშშ-პოლონეთი | 1.70 | 1.90 |
| 12458 | ავსტრია-კანადა | 1.70 | 1.90 |
| 12459 | ჰოლანდია-ეკვადორი | 2.00 | 1.60 |
| 12460 | ხორვატია-არგენტინა | 1.70 | 1.90 |
| 12461 | ინგლისი-ურუგვაი | 1.70 | 1.90 |
| 12462 | თურქეთი-ჩეხეთი | 1.70 | 1.90 |
| 12463 | ჩრდ.ირლანდია-ესტონეთი | 1.60 | 2.00 |
| 12464 | უელსი-პარაგვაი | 1.70 | 1.90 |
| 12465 | ირლანდია-შვედეთი | 1.60 | 2.00 |
| 12466 | საფრანგეთი-სლოვაკეთი | 1.90 | 1.70 |
| 12467 | შოტლანდია-შვეიცარია | 1.70 | 1.90 |
| 12468 | ესპანეთი-კოტ დივუარი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო) კი/არა)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13440 | იტალია-გერმანია | 1.70 | 1.90 |
| 13441 | მექსიკა-განა | 1.70 | 1.90 |
| 13442 | ვენესუელა-კოლუმბია | 1.70 | 1.90 |
| 13443 | პორტუგალია-საუდის არაბეთი | 1.90 | 1.70 |
| 13445 | მაკედონია-ბულგარეთი | 1.70 | 1.90 |
| 13452 | სენეგალი-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 13453 | რუსეთი-ბრაზილია | 1.70 | 1.90 |
| 13454 | ისრაელი-დანია | 1.70 | 1.90 |
| 13455 | ტუნისი-სერბეთი | 1.70 | 1.90 |
| 13457 | აშშ-პოლონეთი | 1.70 | 1.90 |
| 13458 | ავსტრია-კანადა | 1.70 | 1.90 |
| 13459 | ჰოლანდია-ეკვადორი | 1.90 | 1.70 |
| 13460 | ხორვატია-არგენტინა | 1.60 | 2.00 |
| 13461 | ინგლისი-ურუგვაი | 1.70 | 1.90 |
| 13462 | თურქეთი-ჩეხეთი | 1.70 | 1.90 |
| 13463 | ჩრდ.ირლანდია-ესტონეთი | 1.70 | 1.90 |
| 13464 | უელსი-პარაგვაი | 1.70 | 1.90 |
| 13465 | ირლანდია-შვედეთი | 1.70 | 1.90 |
| 13466 | საფრანგეთი-სლოვაკეთი | 1.70 | 1.90 |
| 13467 | შოტლანდია-შვეიცარია | 1.70 | 1.90 |
| 13468 | ესპანეთი-კოტ დივუარი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14440 | იტალია-გერმანია | 1.65 | 2.10 |
| 14441 | მექსიკა-განა | 1.40 | 2.40 |
| 14442 | ვენესუელა-კოლუმბია | 1.90 | 1.90 |
| 14443 | პორტუგალია-საუდის არაბეთი | 1.15 | 2.60 |
| 14445 | მაკედონია-ბულგარეთი | 2.10 | 1.65 |
| 14452 | სენეგალი-ნორვეგია | 1.60 | 2.30 |
| 14453 | რუსეთი-ბრაზილია | 2.40 | 1.45 |
| 14454 | ისრაელი-დანია | 1.95 | 1.85 |
| 14455 | ტუნისი-სერბეთი | 1.75 | 2.00 |
| 14457 | აშშ-პოლონეთი | 1.80 | 1.80 |
| 14458 | ავსტრია-კანადა | 1.30 | 2.50 |
| 14459 | ჰოლანდია-ეკვადორი | 1.04 | 2.70 |
| 14460 | ხორვატია-არგენტინა | 2.60 | 1.30 |
| 14461 | ინგლისი-ურუგვაი | 1.15 | 2.60 |
| 14462 | თურქეთი-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 14463 | ჩრდ.ირლანდია-ესტონეთი | 1.70 | 2.10 |
| 14464 | უელსი-პარაგვაი | 1.95 | 1.85 |
| 14465 | ირლანდია-შვედეთი | 1.80 | 1.80 |
| 14466 | საფრანგეთი-სლოვაკეთი | 1.02 | 2.90 |
| 14467 | შოტლანდია-შვეიცარია | 1.90 | 1.90 |
| 14468 | ესპანეთი-კოტ დივუარი | 1.20 | 2.50 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15440 | იტალია-გერმანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15441 | მექსიკა-განა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15442 | ვენესუელა-კოლუმბია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15443 | პორტუგალია-საუდის არაბეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15445 | მაკედონია-ბულგარეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15452 | სენეგალი-ნორვეგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15453 | რუსეთი-ბრაზილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15454 | ისრაელი-დანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15455 | ტუნისი-სერბეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15457 | აშშ-პოლონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15458 | ავსტრია-კანადა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15459 | ჰოლანდია-ეკვადორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15460 | ხორვატია-არგენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15461 | ინგლისი-ურუგვაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15462 | თურქეთი-ჩეხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15463 | ჩრდ.ირლანდია-ესტონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15464 | უელსი-პარაგვაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15465 | ირლანდია-შვედეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15466 | საფრანგეთი-სლოვაკეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15467 | შოტლანდია-შვეიცარია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15468 | ესპანეთი-კოტ დივუარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16440 | იტალია-გერმანია | 1.40 | 2.30 |
| 16441 | მექსიკა-განა | 1.20 | 3.20 |
| 16442 | ვენესუელა-კოლუმბია | 1.70 | 1.80 |
| 16443 | პორტუგალია-საუდის არაბეთი | 1.04 | 5.80 |
| 16445 | მაკედონია-ბულგარეთი | 2.20 | 1.45 |
| 16452 | სენეგალი-ნორვეგია | 1.25 | 2.70 |
| 16453 | რუსეთი-ბრაზილია | 2.85 | 1.25 |
| 16454 | ისრაელი-დანია | 1.80 | 1.65 |
| 16455 | ტუნისი-სერბეთი | 1.60 | 1.90 |
| 16457 | აშშ-პოლონეთი | 1.65 | 1.80 |
| 16458 | ავსტრია-კანადა | 1.10 | 4.00 |
| 16459 | ჰოლანდია-ეკვადორი | 1.01 | 6.00 |
| 16460 | ხორვატია-არგენტინა | 3.00 | 1.22 |
| 16461 | ინგლისი-ურუგვაი | 1.08 | 4.40 |
| 16462 | თურქეთი-ჩეხეთი | 1.60 | 1.80 |
| 16463 | ჩრდ.ირლანდია-ესტონეთი | 1.45 | 2.10 |
| 16464 | უელსი-პარაგვაი | 1.80 | 1.60 |
| 16465 | ირლანდია-შვედეთი | 1.65 | 1.80 |
| 16466 | საფრანგეთი-სლოვაკეთი | 1.01 | 6.00 |
| 16467 | შოტლანდია-შვეიცარია | 1.80 | 1.80 |
| 16468 | ესპანეთი-კოტ დივუარი | 1.15 | 3.80 |

### გოლი:წყვილი-1,კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17440 | იტალია-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 17441 | მექსიკა-განა | 1.85 | 1.95 |
| 17442 | ვენესუელა-კოლუმბია | 1.85 | 1.95 |
| 17443 | პორტუგალია-საუდის არაბეთი | 1.85 | 1.95 |
| 17445 | მაკედონია-ბულგარეთი | 1.85 | 1.95 |
| 17452 | სენეგალი-ნორვეგია | 1.85 | 1.95 |
| 17453 | რუსეთი-ბრაზილია | 1.85 | 1.95 |
| 17454 | ისრაელი-დანია | 1.85 | 1.95 |
| 17455 | ტუნისი-სერბეთი | 1.85 | 1.95 |
| 17457 | აშშ-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17458 | ავსტრია-კანადა | 1.85 | 1.95 |
| 17459 | ჰოლანდია-ეკვადორი | 1.85 | 1.95 |
| 17460 | ხორვატია-არგენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17461 | ინგლისი-ურუგვაი | 1.85 | 1.95 |
| 17462 | თურქეთი-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17463 | ჩრდ.ირლანდია-ესტონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17464 | უელსი-პარაგვაი | 1.85 | 1.95 |
| 17465 | ირლანდია-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17466 | საფრანგეთი-სლოვაკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17467 | შოტლანდია-შვეიცარია | 1.85 | 1.95 |
| 17468 | ესპანეთი-კოტ დივუარი | 1.85 | 1.95 |



# ქართველები ენვერ ჩაუდრისთვის

## დავით ცერცვაძე მძიმეზე ფიქრობს

**27 მარტს** ბაქოში ენვერ ჩაუდრის სახელობის საკრივო ტურნირი იწყება. ტურნირი „ა“ კლასისაა და გადაწყვეტილი ამბავია, რომ ბაქოურ რინგზე 18 საკრივო ქვეყნის 400-მდე კუნთმაგარი წარმომადგენელი იკრივებს. ბაქოში ელიან კუბელებსაც, თუმც მათ დასტური ჯერ არ უთქვამთ.

აზერბაიჯანში მიდიან საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებებიც. საამისოდ ჩვენები ვარიანში, გიორგი კანდელაკის კრივის სკოლაში ემზადებიან და შეკრებას 3 მარტს დაასრულებენ.

„მთლიანად ბაქოს ტურნირისთვის მზადებაზე ვართ გადართული. ეს შეჯიბრი თითქმის მინი მსოფლიოს ჩემპიონატია, რადგან რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის და აზერბაიჯანის ნაკრებები პირველი ნომრებით გამოვლენ. გარდა ამისა, ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ენვერ ჩაუდრის სახელობის ტურნირი მშვენიერი შესაძლებლობაა ჩვენი ახალგაზრდების გამოსაცდელად და ძირითადი ბირთვის ჩამოსაყალიბებლად. თანაც მომავალი წლიდან პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირები იწყება და ბაქოში შეირჩევა ის კონტიგენტი, რომელსაც ლიცენზიისთვის ბრძოლაში დავეყრდნობით“ — გვითხრა საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვლადიმერ ახალკაცმა.

ახალკაცისვე თქმით, ბაქოში ჩვენი ეროვნული ნაკრები რამდენიმე წონაში ორი და სამი მოკრივით გამოვა. გადაწყვეტილია, რომ 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში კახა ჟვანია და ტარიელ ზანდუკელი იკრივებენ. 81-ში თორნიკე ივლიაშვილს დავით წიკლაური ან იაგო კილაძე შეუწყვილდებიან. ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინ დაიცავს საქართველოს ღირსებას მძიმე წონაში. ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი დავით ცერცვაძე ჯერაც ფიქრობს. არჩევანი მან იუზა გულორდავას, რამაზ ჯაოევსა და ზეზვა ჯიქურაშვილს შორის უნდა გააკეთოს. თუმც, როგორც ვლადიმერ ახალკაცმა გვითხრა, გამორიცხული არაა, ბაქოში სამივე მძიმეწონიანი წავიდეს. სხვათა შორის, პირველი ნაკრების მთავარ მწვრთნელ დავით ცერცვაძისთვის ეს სადებიუტო ტურნირი იქნება.

ჩვენი ეროვნული გუნდის საამტურნირო შემადგენლობა წონების მიხედვით ასეთია: *ზვიად ხადური (48), ვახტანგ წინამძღვრიშვილი (51), ნიკა იზორია (55), კობა ფხაკაძე (57), ვასილ ყაზაშვილი (60), ლევან ღვამიჩავა (64), კახა ჟვანია, ტარიელ ზანდუკელი (69), რევაზ ქარელიშვილი (75), თორნიკე ივლაშვილი (81), ბექა ლობჟანიძე (91).*

**ბაჩო სვანიძე**



**საქართველოს ჩემპიონატი**

# ნუგზარი და ავიამშენი

## მოსეშვილი სტუ-ს აფინანსებს

**დღევანდელი** ტურის მთავარი ჯახად „ავიამშენი“ — სტუ ჩაითვლება. თუ შემადგენლობებს გადავხედავთ, ამ გუნდებს შორის დიდი სხვაობას ვერ აღმოვაჩენთ და ისინი ცხრილშიც მეზობლები არიან. ისე, ვისაც არ უნდა შეეკითხო, უმრავლესობა გეტყვის, „ავიამშენი“ უკეთესი გუნდიაო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სეზონის უნიათოდ დამწყები მოქმედი ჩემპიონი სტუ ნელ-ნელა ძალას იკრებს. აკი თქვა კიდეც ავიატორთა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა, ჩვენს შორის შანსები თანაბარიაო. პრესკონფერენციას კი, ტრადიციულად, კაფე „მსოფიო სპორტმა“ უმასპინძლა.

— წინა მატჩში „თსუ-ნიკორასთან“ საკმაოდ დიდი ნერვიულობა შეგვხვდა. ჩემპიონატის ლიდერთან პირველი ტაიმის შემდეგ მოპოვებული 16-ქულიანი უპირატესობა ლამის ქარს გავატანეთ — განაგრძო ლევან მოსეშვილმა — ახლა შედარებით მობილიზებულები ვართ. მოქმედ ჩემპიონ სტუ-ს ვეთამაშებით და ეს თავისთავად მეტყველებს ამ მატჩის მნიშვნელობაზე. ტექნიკოსებს არავისზე ნაკლები შემადგენლობა არ ჰყავთ და შანსებიც თანაბარია. გააჩნია, ვინ როგორ გამოიყენებს...

— სამწუხაროდ, ტრავმებით ვხვდებით სტუ-სთან მატჩს. კარგა ხნის წინ დაშავებულ და ჯერაც შეუძლოდ მყოფ ირაკლი ბერიშვილს ბუბა ბერიშვილი და ვახტანგ მინაშვილიც შეუერთდნენ. ხვალინდელ შეხვედრაში ამათი თამაში თითქმის გამორიცხულია.

ტრავმირებულებით დაიწყო საუბარი სტუ-ს თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმაც:

— „ავიამშენთან“ ვერ დაგვეხმარებიან რევაზ ათანელაშვილი, შიო ხეცურიანი, გიორგი ვაგნიძე, ლაშა ლოსაბერიძე, ხოლო ირაკლი კეილია ახალი ნაოპერაციევია და ფორმაში არაა..

ტექნიკოსთა თავკაცის ამ სიტყვებს ლევან მოსეშვილის ხუმრობანარევი რეპლიკა მოჰყვა, სამაგიეროდ, სტუ-ს ნუგზარ ჭეიშვილი ჰყავსო.

— მიუხედავად სერიოზული დანაკლისისა, მოგების მეიმედება და წარმატების მისაღწევად ყველაფერს გავილებთ — განაგრძო ჭეიშვილმა — „ავიამშენს“ უკეთესი შანსები აქვს, მაგრამ ყველაფერი მაშინ გადაწყდება, მოედანზე რომ გავალთ.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

26 თებერვალი

**დეტროიტი 90:78 კლივლენდი**
**ორლანდო 84:89 ჰიუსტონი**
**ლეიკერსი 111:112 ბოსტონი**
**მინესოტა 105:199 მემფისი**
**ნიუ ჯერსი 91:101 ინდიანა**
**პორტლენდი 75:88 ნიუ ორლეანი**

27 თებერვალი

**ჰიუსტონი 94:111 ფინიქსი**
*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*
**დალასი 104:92 ფილადელფია**
**დენვერი 89:110 მილუოკი**
**გოლდენ სტეიტი 108:117 იუტა**
ძირითადი დრო 105:105
**საკრამენტო 115:91 პორტლენდი**
**კლიპერსი 95:87 შარლოტი**
**ატლანტა 104:102 ნიუ ჯერსი**
ძირითადი დრო 94:94

**ატლანტა:** ჯონსონი (19), აივი (4), სმიტი (19), ჰარინგტონი (22), ფაჩულია (41 წუთი, 14 ქულა, 12 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა); სტუდემაიერი (10), ჩილდრესი (10), უილიამსი (6), ბატისტა

**ნიუ ჯერსი:** კიდი (19, 17 პასი), კარტერი (22), ჯეფერსონი (22), კოლინსი (9), კრსტიჩი (21); რობინსონი (5), მიურეი (2), რაიტი (2), ვონი, პაჯეტი



ზაზა ფაჩულიამ „ნიუ ჯერსისთან“ ორმაგი დუბლი შეასრულა

**კლივლენდი 72:84 დეტროიტი**
**მაიამი 101:94 ტორონტო**
**სან-ანტონიო 121:93 ნიუ იორკი**
**მემფისი 108:98 ვაშინგტონი**





# ევრობლოკი

## ქართველ მსროლელებს მოსკოვი დაუგვიანეს

*მესამე დღეა, მოსკოვში ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს ტყვიის სროლაში. საქართველოს ნაკრები მასზე ხუთი მსროლელით უნდა გამოვიდეს. ტურნირი ქართველი მსროლელებისთვის რამდენიმე დღეში იწყება, მაგრამ აქამდე უცნობი იყო, ჩვენი დელეგაცია რუსეთში ჩასვლას შეძლებდა თუ ვერა. მიზეზი, რა გასაკვირია და, სავიზო პრობლემა გახლდათ*

— დავიტანჯეთ. თვეზე მეტია, ვიზებს ველით. არც ჰოს გვეუბნებიან, არც არას — გვითხრა გუშინ საქართველოს ნაკრების ლიდერმა და ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ნინო სალუქვაძემ**.

**— პრობლემას რუსეთის საელჩო გიქმნით?**

— საელჩო არაფერ შუაშია. მოსკოვიდან უნდა მოვიდეს თანხმობა. პასუხი კი არ ჩანს. თუ არ გვიშვებენ, მიზეზი მაინც გვითხრან. ეს ხომ სპორტია და არა პოლიტიკა. ორ სახელმწიფოს შორის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობა სპორტზე არ უნდა გადავიდეს.

**— რუსეთის სროლის ფედერაციას თუ მიმართეთ?**

— რა თქმა უნდა, შევატყობინეთ და დახმარებაც აღგვითქვეს, მაგრამ რაც არ შეუძლიათ, რას დაგვეხმარებიან.

**— სია რამდენკაციანია?**

— დელეგაციაში რვა წევრი შედის. აქედან ხუთი სპორტსმენი: მე, თამილა ასათიანი, ნინო უჩაძე, ლევან ქადაგიძე და სერგი ჩიტაიშვილი.

**— წესით, როდის უნდა გაემგზავროთ?**

— ევროპის ჩემპიონატი უკვე დაწყებულია, თუმცა ჩვენ 4 მარტიდან ვისვრით. წინასწარი გეგმით, ორი დღით ადრე უნდა წავიდეთ. მაგრამ...

მოსკოვში გამოსვლა ჩვენთვის აუცილებელია. სხვა დადებით მხარეებზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს ტურნირი პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ეტაპადაც მიიჩნევა."

*სალამოს ნინო სალუქვაძეს ერთხელაც შევეხმიანეთ და სასიამოვნო ახალი ამბავი შეგვატყობინა:*

*— ეს-ესაა დამირეკეს. სავიზო პრობლემა მოგვარებულია. ბოლო დროს იმდენი ვინერვიულე, სიხარულს ველარც კი ვგრძნობ. მოსკოვში 2 მარტს გავემგზავრებით.*

**ოთარ მაღლაკელიძე**

# სპორტული იდილია

## შტეფი და ანდრე ყველაფერზე ჩოგბურთის გარდა

*ხანდახან ასეც ხდება: მსოფლიო დონის ვარსკვლავებს ერთმანეთი უყვარდებათ, ქორწინდებიან, ჰყავთ შვილები და ბედნიერნი არიან. ასეთია ანდრე აგასისა და შტეფი გრაფის წყვილიც.*

*„ჩვენი ურთიერთობა?" — ეს ჟღერს როგორც სიმღერის ტექსტი **„SO FEW WORDS, SO MUCH PASSION"** — „ასე ცოტა სიტყვა და უამრავი ვნება" — ამბობს ანდრე აგასი, რომელსაც ოდესღაც მორცხვი შტეფი გრაფი ახლა ღიმილითა და სიყვარულით სავსე თვალებით უმზერს და ყველასდა გასაოცრად იგი უკვე აღარ წითლდება. ისინი ოთხი წელია დაქორწინებულნი არიან, ჰყავთ ორი შვილი და მიაჩნიათ, რომ მათ სიყვარულს ზიანს ვერაფერი მიაყენებს. წყვილის პირველი საერთო ფოტო 1992 წელსაა გადაღებული — მაშინ ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ ერთად. შტეფის მოკლე ღია ცისფერი კაბა ეცვა, შალის საყელოთი, ღრმა დეკოლტეთი და ფართო ქამრით. მაშინ მისი ჩაცმულობა ექსპერიმენტს უფრო წააგავდა...*



*შტეფი გრაფი:* მე ეს მომწონდა...

...განსაკუთრებით ანდრეს გვერდით, რომელიც კონსერვატიულ სპორტში იყო გამოწყობილი. მას მერე ყველაფერი პირიქით ხდება.

*ანდრე აგასი:* რას გულისხმობთ?

**— შტეფის ყოველთვის კლასიკური საჩოგბურთო ფორმა ეცვა, მაშინ როდესაც თქვენ ჩოგბურთის მოთამაშეთა შორის დიდ სტილისტად ითვლებოდით.**

*აგასი:* მართლა?

**— ცხადია, თქვენ გეცვათ ჯინსის შორტი, სტაფილოსფერი და ყვითელი მაისურები, რომლებიც ვარდისფერითა და ცისფრით იყო გაწყობილი. მოგვიანებით ამას დაამატეთ მეკობრული თავსაფარი. განა დღესდღეობით არ ფიქრობთ: „ღმერთო, მაშინ საშინლად გამოვიყურებოდი?"**

*აგასი:* მოდი, ასე ვთქვათ: მე უამრავი რამ მოვისინჯე, რომელთა უმრავლესობასაც აღარასოდეს ჩავიცვამ. მე მათ დავიწყებას ვცდილობ.

**— დღესდღეობით რომელი თქვენგანი უფრო ინტერესდება მოდით?**

*აგასი:* მე იმ მოდით ვინტერესდები, რაც შტეფის აცვია.

*გრაფი:* რა თქმა უნდა, ეს მე ვარ. მაგრამ ამავე დროს დიდ ყურადღებას ვაქცევ იმას, ჩემს მეუღლეს რა მოეწონება.

**— და რა არის ეს, თუ საიდუმლო არაა?**

*გრაფი:* თავადაც ხედავთ, კლასიკური სტილი: პიჯაკი, მაისური, მაგრამ აღარაფერი ექსპერიმენტული.

**— ეს სუნამოებზეც ვრცელდება? თქვენ ალბათ „ARAMIS ALWAYS"-ს ხმარობთ, რომელსაც ანდრესთან ერთად აწარმოებთ. მაინტერესებს, არჩევანი რომელ ვარიანტზე შეარჩიეთ?**

*გრაფი:* ეს რთული საქმეა, მათ არჩევაში ბავშვებიც მონაწილეობდნენ, ყველა გამოვცადეთ და აქაც კლასიკურზე შევჩერდით. სუნებზე საკმაოდ მძაფრად ვრეაგირებ.

**— რომელი სუნის ატანა არ შეგიძლიათ?**

*გრაფი:* ნივრის.

**— თქვენ ერთხელ თქვით, შვილი ყოველივეს ცვლისო. მიგაჩნიათ, რომ თქვენმა ვაჟმა და ქალიშვილმა თქვენი, როგორც ჩოგბურთელის ცხოვრებასაც შეუცვალოს მიმართულება?**

*გრაფი:* გულწრფელად გეტყვით: შვილის გაზრდა არ გამჭირვებია, მხოლოდ დასაწყისში იყო ძნელი უძილობის ატანა.

**— გასულ შემოდგომას ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, გერმანიის მოსახლეობის 37 პროცენტისათვის შტეფი გრაფი არის ის გერმანელი, რომელიც მათ აოცებს. მიმაჩნია, რომ ეს გამოწვეულია არა მარტო იმით, რომ თქვენ მსოფლიოში წარმატებული ჩოგბურთელი ხართ, არამედ იმითაც, რომ ამ ყოველივეს ფონზე უსკანდალო ოჯახური ცხოვრება გაქვთ.**

*გრაფი:* ამასთან დაკავშირებით გაოცებულნი ხშირად მისვამენ კითხვას, მაგრამ ჩემთვის აქ გასაკვირი არაფერია. ასე ცხოვრება ოჯახისთვის ბუნებრივად მიმაჩნია.

**— ბევრისთვის ასეთი იდილიის მიღწევა ძალზე რთულია. მსოფლიოში უამრავი წარმატებული ქალია, რომელნიც არჩევანის წინაშე დგანან: ან კარიერა ან ოჯახი და შვილები...**

*გრაფი:* ეს ძალიან რთული სიტუაციაა და მაინც ყველაფერი ფულამდე მიდის. მე ალბათ პრივილეგირებულთა შორის ვარ, რადგანაც 30 წლისას უკვე განვლილი მქონდა ჩემი პროფესიული ცხოვრება.

*აგასი:* ვფიქრობ, შენ ბავშვებმა კი არ შეგცვალეს, არამედ უფრო თავდაჯერებული და უფრო „შენ" გახდი მას შემდეგ, რაც ისინი გვყავს. დღიდაც ისეთივე მისწრაფებებს ამჟღავნებ, როგორც ადრე ჩოგბურთელი ამჟღავნებდი.

**— რომელი თქვენთაგანია უფრო მკაცრი?**

*აგასი:* ეს იმაზეა დამოკიდებული, რომელ ღილაკს დააჭერენ თითს. ვერ ვიტან, როდესაც ჩვენ ვჭამთ, ბავშვები კი მაგიდის ქვეშ დაძვრებიან.

*გრაფი:* მე კი, როცა ფეხები მაგიდაზე მაქვს.

*აგასი:* მე ეს ხშირად მავიწყდება, როცა თასმას ვიკრავ და ფეხს ჟურნალების მაგიდაზე ვდებ.

**— ბავშვებთან გერმანულად საუბრობთ თუ ინგლისურად?**

*გრაფი:* მე ყოველთვის გერმანულად. ანდრე ინგლისურად, მიუხედავად იმისა, რომ მისი გერმანული საკმაოდ დაიხვეწა.

**— თქვენ ლას ვეგასში ცხოვრობთ. არსებობს ოჯახში რამე გერმანული ტრადიცია?**

*გრაფი:* მაგალითად საშობაო კალენდარი, რომელიც ამერიკაში არ არის და რომელიც ყოველ წელს გერმანიიდან ჩამოგვაქვს.

**— როგორია თქვენი ჩვეულებრივი დღე?**

*აგასი:* ჩვენი ოჯახი მუდმივად გზაშია: შტეფანი და ბავშვები ტურნირებზე დამყვებიან. სახლში ყოფნა, სეირნობა ან სუპერმარკეტში საყიდლებზე წასვლა ჩვენთვის ნამდვილი ეგზოტიკაა.

**— მაშინ რა მოხდება, როცა ბავშვები სკოლაში ივლიან?**

*აგასი:* ჯერ კიდევ 2 წელი გვაქვს დრო. უფროსი 4 წლისაა, უმცროსი კი ახლახანს გახდა ორის.

**— თქვენ ჩოგბურთში ყველაფერს მიაღწიეთ, რისი მიღწევაც შეიძლებოდა, რის გაკეთებას აპირებთ მომავალში?**

*აგასი:* რასაც ვაკეთებ, ჩემთვის ესაა მთავარი და რამდენი წლისა ვარ, ჩემთვის სულ ერთია. მე სტიმულს მაძლევს ის, რომ უამრავ ხალხს სურს ჩემი თამაშის ნახვა და საერთოდ არ არსებობს მიზეზი, რის გამოც იმ საქმეს თავს დავანებებდი, რომელიც ასე მომწონს.

**— აქვს თქვენთვის მნიშვნელობა იმას, ოჯახის გიყურებთ ტურნირის დროს თუ არა?**

*აგასი:* ბავშვები თან მყავს თუ არა, არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ შტეფი აუცილებლად ჩემს გვერდით უნდა იყოს. მისთვის ნათელია, რას ვგრძნობ თამაშის დროს, მატჩის შემდეგ კი იცის, რატომ ვარ კარგად ან ცუდად.

**— თამაშის შემდეგ ერთად აანალიზებთ მას?**

*გრაფი:* რაოდენ მოულოდნელიც უნდა იყოს, ჩვენ ძალიან ცოტას ვსაუბრობთ ჩოგბურთზე, გამონაკლისი არც მისი თამაშებია. მე ჩემი მეუღლის პოზიციას ყოველთვის ვიზიარებ.

**— თქვენი ახალი სუნამოს სარეკლამო კამპანია პარიზში აწარმოეთ — რატომ მაინცდამაინც იქ? რადგან პარიზი სიყვარულის ქალაქია?**

*აგასი:* რადგანაც ყველაფერი იქ დაიწყო, იქ შეგვიყვარდა ერთმანეთი და ეს სუნამოებიც ხომ ჩვენი სიყვარულის გამოძახილია.

**WELT AM SONNTAG**





# თურქული წესები ევროპაზეც გაჭრის

*ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ წლევანდელი კალენდარი მოჭიდავეთათვის ფინანსურად მომგებიანი რამდენიმე ტურნირით რომ გაამრავალფეროვნა, თვეების ამბავია. დიდი ოქროს პრიზის სერია ორივე სტილით ჭიდაობას მოიცავს. სეზონის განმავლობაში ბერძენ-რომაელები და თავისუფლები სამ-სამ ახალ ტურნირს მოივლიან*



პირველად კლასიკოსებმა გაუსინჯეს სიახლეს გემო. გასულ უქმეებზე ოქროს პრიზი თურქულ იზმირში გათამაშდა, მაგრამ ფილას ოფიციალური თუ არაოფიციალური ვებგვერდების გადამკიდეთ აგერ უკვე მერამდენედ აღმოვჩნდით საინფორმაციო ვაკუუმში. ქართველთა ჭიდაობის ამბავი მხოლოდ სანახევროდ გავიგეთ, ისიც ნაკრების ერთ-ერთი წევრის ოჯახთან დაკავშირებით. საბოლოო ინფორმაცია კი მხოლოდ გუშინ მივიღეთ, თბილისში დაბრუნებული დელეგაციისგან.

„თურქეთში ექვსი მოჭიდავით ჩავედით და ერთი ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ“ — გვითხრა მწვრთნელმა ჯონი რეხვიაშვილმა. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია გაფართოებულ შემადგენლობასთან ერთად ბაკურიანშია, ევროპის ჩემპიონატისწინა პირველ შეკრებაზე. იქვე არიან ნაკრების ლიდერებიც. თურქეთში კი საქართველო არცთუ ოპტიმალური გუნდით ჩავიდა.

„მედალი მხოლოდ 74 კილოგრამში მოჭიდავე შმაგი სალთხუციშვილმა აიღო — განაგრძობს რეხვიაშვილი — ძალიან კარგად იჭიდავა და მეტიც შეეძლო. ეს მარტყოფელი ბიჭი ხშირად უსახსრობის გამო თბილისში სავარჯიშოდ ჩამოსვლასაც კი ვერ ახერხებს და მისთვის საპრიზო თანხა მართლაც ალალია. აკაკი ჯოხაძესა (84 კგ) და მირიან გიორგაძეს (+120 კგ) მედლამდე მხოლოდ თითო გამარჯვება დააკლდათ, თუმც ფინანსური წახალისებისთვის მეხუთე ადგილიც ეყოთ, ისევე როგორც 66 კილოგრამში მოჭიდავე შმაგი გოქაძეს (მერვე ადგილი).“

საპატიო რვეულს ქვემოთ მხოლოდ მუხრან მაჭუტაძე (66 კგ) და პაატა დვალიძე (96 კგ) დარჩნენ. მწვრთნელის თქმით, პირველს ტრავმამ შეუშალა ხელი, ხოლო მეორეს არაობიექტურმა მსაჯობამ.

ჯონი რეხვიაშვილი: „განსაკუთრებული სიმპათიებით კორეელი მოჭიდავეები სარგებლობდნენ. ტურნირის მთავარი მსაჯი სწორედ კორეელი იყო და ორი მისი თანამემამულე ჩემპიონი გახდა. აქვე მასპინძელთა მიმართ სიმპათიებიც ვახსენოთ და ადვილად მიხვდებით, თუ რამხელა წნეხის ქვეშ მოგვიწია გავლა. უკეთ გამოსვლაც შეიძლებოდა, მაგრამ მიღწეულით უკმაყოფილოები ნამდვილად არ ვართ. იზმირში 19 ქვეყნის ნაკრები ჩამოვიდა, თითქმის ყველა ოპტიმალური შემადგენლობით. წარმოიდგინეთ, თითო წონაში 4-5 მსოფლიო დონის ვარსკვლავი ჭიდაობდა.

...რომ არა ქვემო ქართლის გუბერნატორის და მარნეულის გამგებლის დახმარება, ალბათ ტურნირზე ვერც წავიდოდით. არადა, ეს ბიჭები ნაკრების კანდიდატები არიან და ყველაზე მეტად სატურნირო გამოცდილების მიღება სჭირდებათ. წინ კიდევ ორი ოქროს პრიზია და ამ ექვსეულიდან ერთი მაინც შეძლებს ჩემპიონობას.“

ფილამ ბოლო წლებში დანერგილ ტრადიციას არც იზმირში უღალატა. საჭიდაო წესები ერთხელაც განაახლა და ევროპის ჩემპიონატზე სავარაუდოდ სწორედ „თურქული წესები“ იმოქმედებს. ქართულ დელეგაციაში მსაჯი ვაჟა გოგიაშვილიც იყო და სიახლეზე მასზე უკეთ აბა, ვინ გვეტყოდა:

„ერთი შეხედვით, მცირე ცვლილებები განხორციელდა, მაგრამ ამ თითქმის უმნიშვნელო სიახლეებზე შეჩვევაც საკმაოდ რთული იქნება. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ბევრი ვარსკვლავი ტურნირს გაფრთხილებების გამო გამოეთიშა. შეიძლება მოჭიდავე უდიდესი უპირატესობით იგებდეს და სამი გაფრთხილების გამო წააგოს.“

მეორე ოქროს პრიზს 18-19 მარტს ბულგარეთი უმასპინძლებს და იქ საქართველოს ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით იჭიდავებს. სწორედ ეს ტურნირი იქნება ევროპის ჩემპიონატის მთავარი მოსამზადებელი ეტაპი. თავად ევროპირველობა კი 25-30 აპრილს მოსკოვში გაიმართება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# რუსული სტანდარტი

*ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს რუსთა სკანდალური ისტორიები ლაიტმოტივად გასდევდა. ეს ოლიმპიადა მათი სკანდალებით დაიწყო და ასევე დასრულდა. ხმაურიანი ისტორიები თითქოს ტურინშივე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ რუსებს თურმე მოსკოვის აეროპორტშიც დიდი რია-რია ელოდათ. მაგრამ ვიდრე აეროპორტულ ამბებზე ვიტყოდეთ რამეს, მოკლედ გავიხსენოთ რუსთა ტურინული თავგადასავლები*

**ჯერ** იყო და რუსთა დელეგაციას ტურინიდან გამოძევებით დაემუქრნენ, აქაოდა თქვენი დელეგაციის გერენალური სპონსორი **BOSCO** აქ უკანონო და აგრესიულ სარეკლამო კამპანიას ეწევაო. ამ კომპანიამ ოლიმპიური სოფელი თავისი საფირმო ნიშნებითააჭრელა და ისინი შემდეგ იტალიელთა ჩამოსახსნელი შეიქნა. თავად სპორტსმენებმა კი თავიანთ სამოსზე **BOSCO**-ს წარწერები ლეიკოპლასტებით დაფარეს და ამგვარად გადაურჩნენ დისკვალიფიკაციას.

მერე იყო და, თხილამურებით მორბენალ ოლგა პილიოვას — მას მერე, რაც ვერცხლის მედალი მოიპოვა — სისხლში დოპინგის კვალი აღმოუჩინეს და, ბუნებრივია, ორწლიან დისკვალიფიკაციასთან ერთად ის ჯილდოც ჩამოართვეს. მას იტალიელმა პოლიციელებმაც მიაკითხეს, რაკიღა იქაური კანონებით დოპინგის მიღება სისხლის სამართლის საქმედ კვალიფიცირდება და სპორტსმენს სამ წლამდე პატიმრობა ელის, მაგრამ რუსმა სამართალდამცავებს, როგორც იტყვიან, ერთი ნაბიჯით გაასწრო და ისინი, პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა.

„რუსულ სახლში“ რუსთა კონტრაბანდული ხიზილალით მუცლების ამოყორვაზე აქ აღარ შევჩერდებით. სამაგიეროდ, გაცნობებთ ჩვენი რუსი კოლეგების მიერ ამოქექილ სხვა სკანდალურ ამბავს, რაც **BOSCO VILLAGE**-ის მიერ მოწყობილ საღამოს დაუკავშირდა. იქ თურმე სპორტული ხელმძღვანელები, კულტურის მოღვაწენი და საპატიო სტუმრები რუსული არყით, „რუსული სტანდარტით“ დათვრნენ და მოიწამლნენ. ამის თაობაზე საააგენტო „ვეს სპორტს“ აუწყეს რუსული დელეგაციის შტაბში. ჰოდა, ეს გამოცემაც იუწყება, რომ ზოგიერთი მათგანი რუსული დელეგაციის სამედიცინო ცენტრის თანამშრომელთა მიერ კუჭის ამორეცხვის შედეგად მოკეთდა, მაგრამ სერიოზულად არავინ მოწამლულაო.

ახლა ისიც ირკვევა, რომ ოლიმპიადის ბოლო დღეს ავტოავარიაში მოხვდნენ რუსთა დელეგაციის წევრები, მათ შორის ჰოკეიში ოლიმპიური ჩემპიონი, მოსკოვის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის დირექტორი სერგეი მაკაროვი და რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ვალერი კუზინი, რომელიც ხელოვნური სუნთქვის აპარატზე მისაერთებელი შეიქნა და მისი მდგომარეობა დიდ იმედს იძლევა.

ბოლოს, შინ დაბრუნებულ ოლიმპიელთა და დამხვდურთა რია-რია, გაწევ-გამოწევა და რუსული მამაპაპური დედის გინება „შერემეტიევო 1“-ის აეროპორტში.

როგორც მავანი რუსი ჟურნალისტი იუწყება — „რაღაც უცნაური, აპოკალიფსური სურათი იყო. **VIP**-ის დარბაზი მილიციონერებით იყო გარშემორტყმული, ყველგან ომონელები დადიოდნენ, თითქოს მოსკოვში ეტაპით ჩამოჰყავდათ ვიღაც დიდრონი კრიმინალი. არადა, ოლიმპიალის მონაწილე სპორტსმენები ჩამოდიოდნენ. კოლეგა, რომელიც აეროპორტში ჩემზე ადრე მივიდა, ყურმილში ღრიალებდა: „არავითარ შემთხვევაში აქ არ მოხვიდე. აქ ანშლაგი და სრული ბარდაკია. არსად არ გვიშვებენ. ქუჩაში ვდგავართ და ვიყინებით.

მილიციონერები აკრედიტაციას ითხოვდნენ, მაგრამ ეს საბუთი თავად აეროპორტში იყო ასაღები, მაგრამ იქამდე ვინ გიშვებდა. ვიღაც ახალგაზრდა კაცი, მაწანწალასავით რომ იყო ჩაცმული, წარმოგვიდგა როგორც ოპერრწმუნებული და გვეუბნება, ბრძანება გვაქვს, გარეშეები არ შეგიშვათო.

ერთი ქალი ყვირის — მე ოლიმპიური ჩემპიონის დედა ვარ, შიგნით შემიშვით, თორემ ვიყინებიო, პასუხად კი — ეს შენმა შვილმა მოიპოვა ოქროს მედალი და შენ რა შუაში ხარ, იდექი მანდ და გაიყინეო.

ერთ სპორტსმენს, გარეთ რომ გამოსულა, შიგნით აღარ უშვებენ ბარგის გამოსატანად... ხალხო, მე ოლიმპიური ჩემპიონი ვარ, შემიშვით, ბარგი მაქვს გამოსატანიო. შენ ეგ მედალი ტურინში მოიგე, აქ კი არავინაც არა ხარ — ეუბნებიან მას ორგანოს წარმომადგენლები.

ვიღაცამ ჰოკეისტთა ავტობუსი დაინახა და იყვირა, არიქა, მოდით, მინები ჩავულეწოთ, ეგენი აქედან ავტობუსით კი არა, სახლამდე ფეხით უნდა გარეკო და გზაში ყველასთვის ბოდიში უნდა მოახდევინოო.

ამ დროს დარბაზიდან სპორტსმენთა ჭყივილ-კივილი ისმის, ბარგი დავკარგეთო.

ტურინში მიმავალი სპორტსმენები აქედან დიდი ზარზეიმით და მოღიმარი სახეებით გააცილეს, მაგრამ მაშინ მათგან მედლებს ელოდნენ, ახლა კი ისინი ალბათ ოთხ წელიწადს აღარავის გაახსენდება.“

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ტურინული ჯამი

## მათ არ დაავიწყდებათ იტალია



AFP ტურინიდან

მიხაელ გრაისმა გერმანია ასახელა

*მიილია XX ზამთრის ოლიმპიადა და ყველაფერი ძველ კალაპოტში დაბრუნდება. განახლდება მსოფლიოს თასები, შემდეგი ეტაპები კი უკვე მარტის პირველ ნახევარში გაიმართება და სპორტსმენებიც დაუბრუნდებიან ყოველდღიურობის მორევს. მომდევნო დიდ ფორუმს ოთხი ხანგრძლივი წელი გვაშორებს, ამ დროში კი ბევრზე ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. მაგრამ ამჯერად საუბარი ორიოდ დღის წინ გასრულებულ ოლიმპიადაზე და ტურინში მომხდარ ღირსშესანიშნავ მოვლენებზე გვექნება.*

*ყველა ოლიმპიადაზე არის აღმოჩენები და იმედგაცრუებები, სენსაციები და სკანდალები და, რა თქმა უნდა, ტრიუმფატორები. ამ მხრივ არც ტურინის ოლიმპიადა ყოფილა გამონაკლისი*

### ალმოჩენა

ტურინის ოლიმპიადის მთავარ აღმოჩენად უდავოდ გერმანელი კაცი ბიატლონელები იქცნენ. ისინი იტალიაში მართლაც ფანტასტიკურად გამოვიდნენ და ყველას დაუმტკიცეს, რომ სოლტ ლეიკ სიტიში ჩავარდნა მხოლოდ შემთხვევითი მოვლენა იყო.

არადა, გერმანელებისგან ასეთ თავგამოდებას ნამდვილად არავინ ელოდა, მით უფრო, რომ მათი მოწინააღმდეგები იყვნენ ძალიან ძლიერი ნორვეგიისა და აგრეთვე რუსეთისა და საფრანგეთის გამოცდილი ნაკრებები. ასეთ პირობებში პროგნოზები გერმანელებისთვის მაქსიმუმ ერთი ოქროს „იმეტებდნენ", ესენი კი აიღნენ და ოთხი მოიგეს და ზედაც ერთი ბრინჯაოც დაამატეს.

სროლა-სრიალში თავი განსაკუთრებით მიხაელ გრაისმა გამოიჩინა, რომელმაც ორ ინდივიდუალურ ოქროს ესტაფეტაში გამარჯვებაც დაამატა და ტურინს სამგზის ჩემპიონად გამოემშვიდობა. რიგიანად გამოვიდა ვეტერანი სვენ ფიშერიც, რომელმაც მხოლოდ თავის მეოთხე ოლიმპიადაზე შეძლო ინდივიდუალური ოლიმპიური ოქროს მოგება.

სწორედ ბიატლონელებმა შეიტანეს ყველაზე დიდი წვლილი იმაში, რომ გერმანიის ნაკრებმა არაოფიციალური ჩათვლის მოგება შეძლო — ტევტონთა მიერ მოპოვებული 11 ოქროს მედლიდან ოთხი გრაისის და კომპანიის დამსახურებაა.

### იმედგაცრუება

ამ კატეგორიაში „გამარჯვებულის" დასახელება ყველაზე მეტად გაძნელდა. ტურინში ბევრს ჩაუვარდა თხილამური ხევში და ვინმეს ცალკე გამორჩევა ცოტა ძნელია. თუმც აქ ერთი და უმთავრესი იმედგაცრუების მოყვანა მაინც შეიძლება — ეს არის მთლიანად ნორვეგიის ნაკრები.

სკანდინავები ტურინში დიდი ამბიციებით ჩავიდნენ. მათი მიზანი მხოლოდ საერთო ჩათვლის მოგება იყო, როგორც ოქროების, ისე მედლების საერთო რაოდენობის მიხედვით. ყველა ოთხი წლის წინანდელის გამეორებას მოელოდა — წესით, გამალებული ბრძოლა უნდა გამართულიყო ნორვეგიისა და გერმანიის ნაკრებებს შორის, მაგრამ... ვიკინგებმა ტურინის ოლიმპიადა მთლიანად ჩააფლავეს და მხოლოდ ორიოდე ოქროს მოგება შეძლეს მაშინ, როცა სოლტ ლეიკ სიტიში მათ ყულაბაში 13 უმაღლესი ხარისხის მედალი წკრიალებდა. ნორვეგიელებს სუპერშემადგენლობები ჰყავდათ ჩაყვანილი ბიატლონში, მთის კომბინაციასა და ბარის თხილამურობაში, მაგრამ ვერც ერთ ამ სახეობაში ვერ შეძლეს კინკილა ოქროს მოგებაც კი.

აგერ, მათ ნაკრებში ორი უმთავრესი უიღბლოც:

1 ოლე-ეინარ ბიორნდალენი — უკვე ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი ტურინში კიდევ ერთ ამდენ ოქროს გეგმავდა და თვისტომებსაც თუ ვინმესი ეიმედებოდათ, პირველ რიგში მისი, მაგრამ ერთიც კი ვერ მოიგო.

2 მარეტ ბიორგენი — ეს უდავოდ ძალიან ძლიერი ბარის მოთხილამურე ოლიმპიადებზე ვერაფრით აჩერებს თავისი მაღალი კლასის ჩვენებას — სოლტ ლეიკ სიტიშიც მშრალზე დარჩა და ტურინშიც. არადა, ამ ოლიმპიადებს შორის ოთხწლიან პერიოდში ყველაფერი მოიგო, რაზეც თხილამური მიუწვდა.

### პოლარული ექსპრესი

ავსტრიის ნაკრებმა ტურინში გასაოცარი პოლარულობა აჩვენა — ერთის მხრივ იყო დოპინგთან დაკავშირებული უდიდესი სკანდალი და ავსტრიის ბიატლონისა და ბარის მოთხილამურეთა ნაკრებების დისკვალიფიკაცია, მეორეს მხრივ კი ამ ქვეყნის წარმომადგენელთა დიდებული გამოსვლები. თქმად ღირს მთის მოთხილამურეთა წარმატებები, რომელთა დამსახურებითაც ავსტრია საერთო ჩათვლაში მესამე ადგილამდე აღზევდა.

მნახველებს დიდხანს არ დაავიწყდებათ ოლიმპიური სოფლის ავსტრიულ უბანში იტალიური პოლიციის რეიდი. ეს ავსტრიელთა ბანაკში ბიატლონელთა ყოფილ მწვრთნელ ვოლტერ მაიერის გამოჩენამ გამოიწვია — ამ ბატონს სოლტ ლეიკ სიტიში დოპინგის გამოყენების გამო 2010 წლამდე აუკრძალეს სპორტსმენებთან მიკარება...

პოლიციელებმა ავსტრიელთა ბანაკში მართლაც აღმოაჩინეს სისხლის გადასხმის აპარატები და სხვადასხვა სტიმულატორები, რის გამოც ავსტრიელ ბიატლონელებს და ბარის მოთხილამურეებს დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

მეორეს მხრივ კი ალბათ ყველას ასევე დიდხანს ემახსოვრება მიქაელა დორფმაისტერისა და ბენჯამინ რაიხის დიდებული სრიალი, მთის კომბინაციაში ფელიქს გოტვალდის წყვილი ოქრო და ტრამპლინიდან მხტომელ ტომას მორგენშტერნის ფანტასტიკური ფრენა.

### სენსაციები

ამ მხრივ ტურინის ოლიმპიადა მართლაც დოვლათიანი გამოდგა. სენსაციები ბითუმად დაფიქსირდა, განსაკუთრებით ტურნირის პირველ ნახევარში. აქ ყველაზე დიდ მოულოდნელობებს და მათ შემოქმედებს ვახსენებთ:

1 ანტუან დენერია (საფრანგეთი, მთის თხილამურობა) — ამ ფრანგის ანგარიშზეა ალბათ ყველაზე დიდი სენსაცია, როცა მან სწრაფდაშვებაში უკვე მოზეიმე ავსტრიელ მიხაელ ვალჰოფერს ფაქტობრივად კისრიდან ჩამოხსნა ოქროს მედალი. ეს ვალჰოფერისთვის იმდენად დიდი შოკი იყო, რომ მან ტურინში ველარ გაძლო და სამშობლოში დაბრუნდა.

2 ტედ ლიგეტი (აშშ, მთის თხილამურობა) — ამ ამერიკელის კომბინაციაში გამარჯვება დიდად განაპირობა მეტოქეთა — ბენჯამინ რაიხისა და ბოდე მილერის ბავშვური შეცდომებმა, მაგრამ ლიგეტის მაინც ნუ დავუკარგავთ გარჯას.

3 კლარა ჰიუზი (კანადა, ციგურაობა) — ვინ იფიქრებდა, რომ ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი გერმანელი კლაუდია პეშტაინი მეხუთე ოქროს მოგებას ვერ შეძლებდა, მაგრამ კლარა ჰიუზმა ყველას დაუმტკიცა, რომ ამქვეყნად დაუმარცხებელი არავინაა.

4 სიძუკა არაკავა (იაპონია, ფიგურული სრიალი) — არაკავას არაფერი ექსტრაორდინალური არ უჩვენებია, მაგრამ ირინა სლუცკაიას ან საშა კოენისგან განსხვავებით, თავისი პროგრამა დიდებულად, უშეცდომოდ შეასრულა და იაპონიას ფიგურულ სრიალში პირველი და ამ ოლიმპიადაზე ერთადერთი ოქრო მოუპოვა.

5 შეინი დევისი (აშშ, ციგურაობა) — დევისი პირველი შავკანიანი მოციგურავეა, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მან თავის ოქროს კიდევ ერთი ვერცხლი დაურთო და ყველას დაუმტკიცა, რომ ციგურებზე დგომა მხოლოდ თეთრკანიანთა საქმე არ არის.



AFP ტურინიდან

ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი ოლე-ეინარ ბიორნდალენი ტურინში ვერცხლის და ბრინჯაოს ამარა დარჩა

### რეკორდები

ნორვეგიელმა ვეტერანმა ჩეტილ ანდრე ამოდტმა და ხორვატმა იანიცა კოსტელიჩმა სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი ისტორიაში. ნახევარსაათიანი ინტერვალით მათ კარიერაში მეოთხედ მოიპოვეს ოლიმპიური ოქრო და პირველი სამთო მოთხილამურეები არიან, რომლებიც ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ.

### ეპოქა გასრულდა

ტურინის ოლიმპიადა რამდენიმე უკვე ლეგენდად ქცეული სპორტსმენისთვის უკანასკნელ დიდ ტურნირად იქცა, რის შემდეგაც ისინი აქტიური სპორტიდან წასვლას გეგმავენ. ამ სპორტსმენებმა თავიანთ სახეობებში მთელი ეპოქები შექმნეს და ამიტომ მათი წასვლით ეს ეპოქებიც დასასრულს მიუახლოვდა:

1 გეორგ ჰაკლი (გერმანია, ციგები) — ეს გერმანელი ციგების ცოცხალი ლეგენდაა, რომელიც ამ სპორტის სარეკლამო სახედ იქცა. 39 წლის ჰაკლისთვის ტურინი მეექვსე ოლიმპიადა იყო და ის იტალიაში მეოთხე ოქროსთვის ჩავიდა, მაგრამ ასაკმა და ძველმა ტრავმებმა თავისი ქნა და ჰაკლიც მხოლოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა.

2 სილკე ოტო (გერმანია, ციგები) — ქალთა ჰაკლად წოდებულმა სილკე ოტომ ტურინში მესამე ოლიმპიური ოქრო მოიგო და განაცხადა კიდეც, წავედიო.

3 მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია, მთის თხილამურობა) — ამ ავსტრიელმა ჯერ კიდევ ოლიმპიადის დაწყებამდე თქვა, რომ სპორტიდან წასვლას გეგმავდა. მაგრამ მთავარია ის, რომ დორფმაისტერი ამას თავისი 13-წლიანი კარიერის პიკზე გააკეთებს — ის ხომ აქამდე არ ყოფილა ოლიმპიური ოქროს მფლობელი, ტურინში კი მიქაელამ ეს ერთბაშად ორჯერ მოახერხა.

4 ჩეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია, მთის თხილამურობა) — ნორვეგიელი დორფმაისტერის მსგავსად ოლიმპიადის შემდეგ გეგმავდა სპორტთან გამოთხოვებას, მაგრამ ოქროს მოგების შემდეგ განაცხადა, არსადაც არ მივდივარო. თუმც ამას, ალბათ, ბევრი არ დაიჯერებს. ეს ცხელ გულზე ნათქვამს უფრო ჰგავდა. მაგრამ ვინ იცის...

**ბაჩა ლომაშვილი**



# ...და ავფრინდები

უცნაურია, დღეს, როცა ზებგერითი თვითმფრინავები და კოსმოსური ხომალდები დაფრინავენ, ადამიანი წარსულს უბრუნდება და საჰაერო ბურთებითა თუ დირიჟაბლებით ცდილობს ჩიტივით ფრენას. ამ საქმეს უცხოეთში მრავალი მიმდევარი ჰყავს და ქართველები პირველ ნაბიჯებს სწორედ იქ დგამენ.

არადა, იყო დრო, საჰაერო ბურთებით დაინტერესებას მეფე ერეკლეს ურჩევდნენ, მთელ საბჭოთა კავშირში კი ამ საქმის პიონერი იყო ვლადიმერ გარაყანიძე, რომელიც გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში რუსეთში დაფრინავდა.

თუმცა, ეტყობა, ყინული ახლა ჩვენთანაც ლღვება. ყოველ შემთხვევაში, შარშან საქართველოს ჰაერნაოსნობის ეროვნული ფედერაცია შეიქმნა და პირველი ჰაერნაოსნობის კლუბიც ჩამოყალიბდა. მისმა წევრებმა საფრენი მომზადება გაიარეს და აერონავტიკური საფრენი აპარატების პილოტების მოწმობაც მიიღეს, შეიძინეს თეთრ-წითელი სითბური საჰაერო ბურთი AX-8 და მას „წმინდა გიორგი" უწოდეს.

მერე საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტში კლუბს საჰაერო ხომალდის ექსპლოატაციის სერტიფიკატი გადასცეს, კლუბმა მიიღო აერონავტიკური საფრენი აპარატების ტექმომსახურებისა და სერტიფიკაციის სასწავლო ცენტრის გახსნის უფლებაც. ბოლოს კლუბმა და თბილისის საავიაციო ინსტიტუტმა აერონავტიკური საფრენი აპარატების პილოტებისა და ტექნიკოსების სკოლაც შექმნეს.

როგორც ჰაერნაოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა რევაზ უთურგაურმა გვითხრა, ეს სკოლა პირველ მოსწავლეებს, ჯერჯერობით ოთხ კაცს, 6 მარტს მიიღებს...

მანამდე კი, იპოდრომზე საჩვენებელი გაფრენის სანახავად გვიხმეს.

სამწუხაროდ, გუშინ აფრენა ვერ მოახერხდა, ქარმა არ მისცა ამის საშუალება, თუმცა, სულ ქარი ხომ არ იქნება, ჩადგება და...

**ავთანდილ ჭყვიშელი**








სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს,

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge